საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცქვაა, ფიცუილებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 12 აგვისტო. 2016 წ. №149 (8041), გამოცემის 98-ე sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

1121.12 აგვისტო

„ძლევა საკვირველი“

...ცალ მუხლზე წაჩოქილი, დაჭრილი რაინდი ისევ იგერიებს გარშემოხვეულ მტერს... მიწაში ჩარჭობილი ხმლების ვადები ჯვრებად აღერილან და ღვთის სადიდებელს შეჰღაღადებენ ზეცას...

დიდგორი... ქართული საბრძოლო დიდების მარად ელვარე ძეგლი დიდი მერაბ ბერძენიშვილისა, ქართული გაუტეხელი სულის განსხეულება!

დიდგორი არა მხოლოდ ყველა მოგებული ომის სიმბოლო, არამედ ყველა წაგებული ომის მალამოც.

რა კარგად თქვა უდროოდ წასულმა პოეტმა ლაშა გახარიამ:

ეს გაუმარჯოს ერთი
დიდგორით
ყველა წაგებულ ომის მოგებას...

დიდგორი, სადაც ერთზე ათი მოდიოდა და სადაც ერთმა ათს სძლია და ქვეყანა იხსნა უბედურებისგან — არა უბრალოდ ომში მარცხისგან, არამედ გადარჯულებისგან, გადაჯიშებისგან.

მას შემდეგ გასულ ათასწლეულში არ ყოფილა და დღესაც არ არის ქართველი, ვისაც დიდგორში არ „ეომოს“. ამიტომაც ათი საუკუნეა, გადმოგვეცემა დიდგორის ექო ღვთიურ რეკვიემად.

დღეს დიდგორის „ძლევაი საკვირველის“ დღეა. დღეს ჩვენი წმინდა მეფე, დიდი დავით IV აღმაშენებელი კიდევ ერთხელ წარგვიძღვება გამარჯვებისკენ. მთავარია, მოვინდომოთ, ერთ მუშტად შევიკრათ, დავითის გზით ვიაროთ!

ეს ვაყმარჯოს ერთი დიდგორით ყველა წაგებულ ომის მოგებას...

2016.12 აგვისტო

მსოფლიდ ქართული გზა

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის დიდი შემოქმედები

⑤

⑧

ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ შექმნაშია

ჩვენ ასეთი გაბედული და მამაცი ადამიანებით შევქმნით დიდ ქართულ ერთობას — ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

③

ნანი ბრეგვაძე: „უმადურობა საშინელებაა!“

უნიათო პრეზიდენტის შემოდგომა

②



ბნელეთის მოციქულები, რომლებიც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ყოვლად მიუღებელი არიან

ევროპისკენ... წინა თუ უკანა კარიდან?!

ივანიშვილის ხათრით არჩეული ჩვენი სექსმდიდარი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი თავკერძობას იჩენს, სექსის საკითხში პირველობას არ თმობს, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის სიკერპე და სიჯიუტე, რასაც ის რეფერენდუმის მიმართ იჩენს: საჭიროდ არ მიიჩნევს კონსტიტუციაში იმ მუხლის შეტანას, სადაც აღნიშნული იქნება, რომ საქართველოში შესაძლოა, მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ქორწინება.

ბატონო პრეზიდენტო, ევროპის ცივილიზაციას დიდი ჭიშკარიც აქვს, საიდანაც შედის და მუდამ შედიოდა ყოველი ცივილიზებული ერი, თქვენ რატომ დაიჩემეთ ასე საეჭვოდ, რომ მაინცდამაინც უკანა კარიდან (უკანალიდან!) შევუერთდეთ ევროპის ცივილიზაციას?!

ქართველი ხალხი დიდად გაკვირვებულია, რატომ არის პრეზიდენტი მარგველაშვილი ესოდენ მონდომებული, რომ ჩვენი ქვეყანა, გინდა თუ არა, სოდომისა და გომორის გზაზე შეაყენოს.

სანამ დროა, დაჰყევით ხალხის ხმას, სექსმდიდარო ბატონო პრეზიდენტო. მსოფლიოში შექმნილი ამჟამინდელი მდგომარეობა აუცილებელს ხდის საქართველოში ქალისა და მამაკაცის მიერ ტრადიციული ოჯახის შექმნის კანონის კონსტიტუციურად განმტკიცებას.

ნუთუ ამ ფრიად მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხს თქვენთვის, ფილოსოფოსისთვის, ახსნა-განმარტება სჭირდება?!.

მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ქსელში გაიყიდება 5 დღის განმავლობაში.

ომალოში „თუშეთობა“ აღინიშნა

გუშინ ომალომ ტრადიციულ დღესასწაულ „თუშეთობას“ უმასპინძლა. სახალხო ზეიმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილმა თუშ მეცხვარეებს, ადგილობრივ მოსახლეობას და დღესასწაულზე მყოფ სტუმრებს „თუშეთობა“ მიულოცა.

„მივესალმები საქართველოსთვის ამ, მართლაცდა, ყველაზე ლამაზ მხარეს. მე ყველანაირი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მართლაც, ეს არის საქართველოს ანდამატი, ეს არის საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში. მიხარია, რომ თუშეთობას ერთად ვდღესასწაულობთ. მინდა, მადლობა გადავუხადო, პირველ რიგში, ყველა აქ მაცხოვრებელს, იმისათვის, რომ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე შემოგვინახეთ. ძალიან მიხარია, რომ ამ დღესასწაულში ამდენი ახალგაზრდა მონაწილეობს. პირველ რიგში, მინდა, მივულოცო თუშ მეცხვარეებს. მივულოცო იმიტომ, რომ მათი მეშვეობით მოხდა ამ მხარეში მოსახლეობის დამაგრება. ეს არის გმირული საქმე და თითოეული თქვენგანი, თითოეული აქ მაცხოვრებელი თუში არის საქართველოს ფარი, საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის მესაზღვრე და თქვენი გმირობის მეშვეობით შევინარჩუნეთ ჩვენ აი, ეს კულტურა, ეს ულამაზესი კულტურა, რომელიც დღეს აი, აქ ჩვენ გვაქვს და რომლითაც ყველა ჩვენგანი სამართლიანად ვამაყობთ,“ — განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თუშეთის განვითარებას, რომელსაც გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის თვალსაზრისით. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, უკვე გამოცხადებულია ტენდერი თუშეთის გზის პროექტირებაზე.

„ეს გზა აუცილებლად აშენდება და იგი იქნება საქართველოს დედაქალაქიდან თუშეთამდე მიმავალი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების გზა, იმისათვის, რომ ყველა ტურისტმა უსაფრთხოდ და რაც შეიძლება მოკლე დროში მოახერხოს თუშეთში ამოსვლა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მთიანი რეგიონების შემაერთებელი გზები, რომელზეც ვმუშაობთ, იმიტომ, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იქნება ამ მხარის, აი, ამ კულტურის მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება. ამ გზას ექნება ბევრი დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, ტურიზმის განვითარების, რომ აქაურმა ოჯახებმა მეტი შემოსავალი ნახონ და ჰქონდეთ მეტი ინტერესი იმის, რომ მცირე სასტუმროები გაიხსნას, ადგილობრივი რეწვა განვითარდეს. რა თქმა უნდა, ექნება ასევე უსაფრთხოების დანიშნულება, იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი სასაზღვრო რეგიონი და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის დამაგრებას. და, რა თქმა უნდა, მას ასევე ექნება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების დანიშნულება, ვინაიდან გზის, კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის გარეშე ეს იქნება შეუძლებელი,“ — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

„თუშეთობა 2016“-ის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრმა დაცული ტერიტორიების ვიზიტიორთა ცენტრი და თუშური ხელნაკეთი ნივთების გამოფენა დაათვალიერა, დააგემოვნა თუშური კერძები, დაესწრო საზეიმო კონცერტს, მშვილდოსნობას და სხვა ტრადიციულ სპორტულ-საბრძოლო თამაშებს.

პატივგება აგვისტოს ომის გმირებს

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2008 წლის აგვისტოში სოფელ შინდისთან დაღუპული ქართველი სამხედროების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

„ჩვენ საქართველოს მოქალაქეები, აქ მოვდივართ მადლიერებით, რათა პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად, გმირულად დაგვიცვა ჩვენ, დაიცვა დედაქალაქი, დაიცვა ჩვენი სამშობლო ვერაგი მტრისგან, მადლობა და დიდება მათ სახელებს, მათ ხსოვნას, მადლობა მათ ოჯახებს, რომ ასეთი შვილები, ქმრები და ძმები გაგვიზარდეს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა. 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში II ქვეითი ბრიგადის 17 სამხედრო მოსამსახურე გმირულად დაიღუპა საბრძოლო შეტაკების დროს, სადაც დღეს გმირთა მემორიალია აღმართული.

გადმოგვეცით მიხეილ სააკაშვილი!

პოლიტიკური პარტია „ჩვენი სამშობლო“ უკრაინის პრეზიდენტსა და ხელისუფლებას მოუწოდებს ექს-პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს გადმოსცენ.

პარტიის წევრებმა ამ მოთხოვნით გუშინ უკრაინის საელჩოსთან აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებს უკრაინის საელჩოს წარმომადგენელი შეხვდა, რომელსაც მომიტინგეებმა საკუთარი მოთხოვნა გააცნეს და ერთობლივი პეტიცია გადასცეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის ტრისტან წითელაშვილის განცხადებით, პეტიციას თან ერთვის სააკაშვილის რეჟიმის დროს დაზარალებული 100 000 პირის ხელმოწერა.

უკრაინის საელჩოს წარმომადგენელი აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ პეტიციას უკრაინის ცენტრალურ ხელისუფლებას გააცნობს.

ასლან აბაშიძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე დავით მამისეიშვილმა გამოაცხადა.ასლან აბაშიძეს ასევე დაეკისრა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ნოდარ იმნაძის ოჯახისთვის 100 ათასი, თენგიზ ასანიძისთვის კი, 30 ათასი ლარის გადახდა. აბაშიძის ცოლისძმას, აჭარის უშიშროების ყოფილ მინისტრს სოსო გოგიტიძეს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. მისი დაცვის უფროსს დავით ხალვაშს კი, რომელიც თითქმის 2 წელია, უკვე პატიმრობაშია, თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით მიესაჯა.

გარდაცვალების გამო სასჯელისგან გათავისუფლდნენ ჯემალ გოგიტიძე და ელგუჯა ჯინჭარაძე.

ასლან აბაშიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2004 წელს აღიძრა. ჯერჯერობით უცნობია, გაასაჩივრებენ თუ არა აბაშიძის ადვოკატები ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

აფეთქებათა სერია თურქეთში

თურქეთის მარდინისა და დიარბაქირის პროვინციებში მომხდარი ორი აფეთქების შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა შორის საქართველოს მოქალაქეები არ არიან. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„საელჩოს მუდმივი კავშირი აქვს ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებთან. სამინისტრო განაგრძობს მომხდარ ფაქტებზე დაკვირვებას და აუცილებლობის შემთხვევაში გააკეთებს დამატებით განცხადებას. ამასთან, ჩვეულ რეჟიმში, 24 საათის განმავლობაში, საქართველოს საელჩოსა და საქართველოს გენერალურ საკონსულოებში ტრაპიზონსა და სტამბოლში მოქმედებს ცხელი ხაზის ნომრები — (90 533 690 30 40 (ანკარა), (90 541 326 22 26 (ტრაპიზონი), (90 541 818 44 00 (სტამბოლი). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში ასევე მოქმედებს ცხელი ხაზი: (+995 32) 294 50 50 - სამუშაო დღის განმავლობაში 09:00-დან 18:00 საათამდე (+995) 577 98 40 20 - 18:00 საათის შემდეგ და დასვენების დღეებში 24 საათის განმავლობაში“, — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გვიან ღამით, თურქეთის ორ პროვინციაში მომხდარი ტერაქტების შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა, 40-ზე მეტი დაშავდა. თავადასხმებზე პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. თუმცა, თურქეთის ხელისუფლებამ მათ ორგანიზებაში ქურთ მუშათა პარტია დაადანაშაულა.

◎ **უუმაღლესი?!.**

უნიათო პრეზიდენტის შემოდგომა

ბნელეთის მოსიქულები, რომლებიც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ყოვლად მიუღებელი არიან

Ცხადია, არც მე ვარ მარკესი და არც საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტია პატრიარქი, მაგრამ, იმის თქმა კი შემიძლია, რომ როგორი პატრიარქიც ისაა, იმაზე ცოტა მეტი მარკესი მაინც ვარ.

არ დავიწყებ იმის მოყოლას, როგორ გახდა გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი. ეს ისედაც ყველამ ძალიან კარგად იცის. არც იმ ამბების გახსენებას დავიწყებ, რატომ გაირბინა შავმა კატამ მასსა და იმ ბიძინა ივანიშვილს შორს, რომლის ხათრითაც ეს არც ისე დიდი ფილოსოფოსი, არც ისე დიდი მოღვაწე და არც ისე დიდი ქართველი საქართველოს უმაღლესი მთავარსარდალი გახდა.

არ ღირს უახლესი წარსულის დაწვრილებით გახსენება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უბრალოდ ბევრ საგაზეთო ადგილს დაიჭერს და მაინცადამაინც საინტერესოც არ იქნება.

ამ წერილში მინდა უბრალოდ განვიხილო საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის არაპრეზიდენტული საქციელი, საქციელი, საბოლოო წერტილი რომ დაუსვა იმ თვისებას, რომელიც ქვეყნის პირველ პირს, ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს და ბოლოს და ბოლოს, რიგით მოქალაქეს უნდა ჰქონდეს.

სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ადამიანს, რომელიც დღეს საქართველოს პრეზიდენტად მუშაობს, არა აქვს არანაირი თვისებები, რომელიც სიტყვა „პრეზიდენტს“ შეეფერება, არა აქვს უმცირესი ქარიზმა და პიროვნული სიმამაცე.

საქართველოს პრეზიდენტმა სრულად უგულებელყო ამ თანამდებობის უმთავრესი იდეა, ის იდეა, რომელიც პრეზიდენტს ნებისმიერი მოქალაქის პრეზიდენტად წარმოაჩენს და მოექცა გაურკვეველი მსოფლმხედველობის მატარებელი პირების გავლენის ქვეშ.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა მოსაზრება, რომ გიორგი მარგველაშვილმა თავი ყოველგვარი გავლენებისგან გაითავისუფლა და თავისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების გამოყენება დაიწყო. ეს ჩანდა, თუნდაც ისეთი სასაცილო თემით დაწყებული, როგორიც პრეზიდენტის რეზიდენციის ადგილსამყოფელია, გაგრძელდა ყოვლად არაადეკვატური საკადრო პოლიტიკით და საკმაოდ მნიშვნელოვანი ვეტოს გამოყენების უფლებით... ცხადია, ზოგი ისე აფასებდა მარგველაშვილის გარკვეულ სიჯიუტეს, მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, და ზოგი — ისე.

სამწუხაროდ, გიორგი მარგველაშვილმა ამ ორიოდე დღის წინათ მიღებული გადაწყვეტილებით, რომლითაც მან უარი თქვა ქორწინების განსაზღვრის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე, ნათლად აჩვენა, რომ მთელი მისი „პრინციპულობა“ და „სიმამაცე“ არაფერი ყოფილა, თუ არა შიში ზემოთ ნახსენები გარკვეული ჯგუფის მიმართ და სრული დამოკიდებულება ამ ჯგუფის იდეოლოგიაზე.

ეგ კი არა, მისი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, განმარტების ტექსტი, თითქმის ერთი-ერთში ემთხვევა ვინმე ნინო დანელიას ტექსტს, რომელიც აბსოლუტურად გაუაზრებელი და ე.წ. „მედიაესპერტისთვისაც“ შეუფერებელია.

შეუფერებელია, თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ მათი განცხადებები ჩვეულებრივი სისულელეა.

„მაშინ, როდესაც რუსეთის მიერ საქართველოს 20% ოკუპირებულია და, 2008 წლის აგვისტოდან, რუსეთს საქართველოს ორი ოკუპირებული ტერიტორია აღიარებული აქვს, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ამ რეალობაში რეფერენდუმის ჩატარება დამატებით სამართლებრივ არგუმენტს აძლევს ოკუპანტს“, — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

„მინდა, მოგახსენოთ, რომ დიდ პატივს ვცემ რეფერენდუმს, როგორც პირდაპირი დემოკრატიის მნიშვნელოვან ფორმას. მიმაჩნია, რომ რეფერენდუმი, როგორც პირდაპირი დემოკრატიის ინსტრუმენტი, იძლევა საშუალებას, პოლიტიკოსებს გაგვაგონოს ხალხის ხმა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რას გულისხმობს რეფერენდუმის კანონი. მასში წერია, რომ რეფერენდუმი ტარდება

◎ 8 ოქტომბერს მოვიგოთ პოლიტიკური დიდგორი!

საქართველოში უზნეო უმცირესობის დიქტატურაა ზნეობრივ უმრავლესობაზე!

ოცდახუთი წელია, ასეთ ყოფაში ვართ. ეს უნდა დამთავრდეს!

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი უმძიმესი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: სიძულვილი და სიყვარული პოლიტიკაში – ერთნაირად დამანგრეველია ქვეყნის ინტერესებისათვის.

საქართველოში ან უზომოდ უყვართ, ან უზომოდ სძულთ: ამერიკა, რუსეთი, მთავრობა, ხელისუფლება, ზოგადად, პოლიტიკური ლიდერი, რომელიმე კონკრეტული პარტია, ან პოლიტიკოსი.

საქართველოს მოსახლეობა, ქვეყნის პოლიტიკა, ზოგადად, ორი ერთმანეთისთვის საჭირო, მაგრამ ამავე დროს, ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფის დიქტატით ცხოვრობს.

ერთში ამერიკის შეერთებული შტატების ფანატიკური სიყვარულია და რუსეთის ასეთივე სიძულვილი, **მეორეს სიმპათიები რუსეთის მხარესაა** და ანტიპათია – ამერიკის. **ერთი აფეტიშებს სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“, მეორე – ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“**. კარგია, რომ მეორე სჭარბობს. მაგრამ, ცუდია, რომ მოსახლეობის მართლაც, თავისუფალი ნაწილი, საქვეყნოდ მომართული ხალხი (ალბათ, 80 პროცენტზე მეტი), რომელთაც ღირსება აქვთ და პოლიტიკური სიყვარულით, ან სიძულვილით არც საკუთარ თავს აყენებს შეურაცხყოფას და არც ქვეყანას, სამწუხაროდ, **თავისი ინდიფერენტულობით ხელს უწყობს უმცირესობის დიქტატურას უმრავლესობაზე, ანუ პირდაპირ თუ ირიბად თავისი ქვეყნის მოწინააღმდეგის როლში გამოდის.**

პირდაპირ ვთქვათ – 25 წელია, საქართველოში უზნეო უმცირესობის დიქტატურაა ზნეობრივ უმრავლესობაზე. ბელადების მორჩილთა ბატონობაა თავისუფალ ადამიანებზე. გვინდა თუ არ გვინდა, რეალობა ასეთია.

დავფიქრდეთ! იქნებ დავიწყოთ მოქმედება რეალური თავისუფლებისათვის.

ისტორიის სიღრმიდან მოდის დიდი სიბრძნე, რომელიც პოლიტიკოსთა შორის ყველაზე რაციონალურად უინსტონ ჩერჩილმა თქვა: ცუდ მთავრობებს კარგი ადამიანები ირჩევენ. ამას აკეთებენ არჩევნებზე არმისვლით.

დამოუკიდებელი საქართველო სწორედ ასეთი სიყვარულის და სიძულვილის, თავისუფალი ადამიანების ინდიფერენტულობის და არჩევნებზე არმისვლის მსხვერპლია.

„ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის წევრები შეშფოთებული არიან მოსახლეობის განწყობით – საპარლამენტო არჩევნებზე არმისვლით გამოხატონ პროტესტი დაპირებების შეუსრულებლობისათვის. ეს, სწორედ ეს აწყობს „ნაციონალურ მოძრაობას“ და, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებასაც“. მათ მომხრეებს ისედაც მიიყვანენ და მოწინააღმდეგეთა მისვლა საარჩევნო ყუთებთან მათ ნამდვილად არ აწყობთ.

ასე ირჩევენ კარგი ადამიანები ცუდ ხელისუფლებას. არადა, რა ახლოსაა ქვეყანაში მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლის დაწყება, და რა დიდ შანსს უშვებენ საქვეყნოდ მომართული ადამიანები, თავისუფალი ადამიანები – ქვეყნისა და საკუთარი თავის გამარჯვებისათვის.

მარტივი რამის გაკეთებაა საჭირო. არჩევნებზე მისვლა და არჩევანის გაკეთება ყოველგვარი სიყვარულისა და სიძულვილის გარეშე – რაციონალურად, ანუ აირჩიო მსახური და არა უფროსი. აირჩიო პროფესიონალიზმი, გამოცდილება, წესიერება. საკუთარ თავს სცე პატივი და მხარი არ დაუჭირო იმ პოლიტიკურ ძალას, სადაც პარტიიდან პარტიაში მომთაბარენი, ანუ მოღალატენი არიან, სადაც ბელადისადმი მორჩილებით სავსენი არიან, სადაც ფულიანები, ბიზნესმენები და პოლიტიკას მიტმასნილი არაპოლიტიკოსები არიან.

ქართველ ხალხს 8 ოქტომბერს 21-ე საუკუნის პოლიტიკური დიდგორი აქვს მოსაგები. ეს მისი ღირსების საქმეა. ეს მისი პასუხისმგებლობაა როგორც ისტორიის, განსაკუთრებით ქვეყნისა და საკუთარი შვილების – მოდგმის წინაშე. ეს არის მისი პასუხისმგებლობა ერთიანი საქართველოსათვის“.

ერთი რამ ვიცი, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები გამოკვეთილად ღირსების არჩევნებია, რომელმაც უნდა დაამთავროს ბელადების, მით უფრო გამოგონილი ბელადების და ფულიანთა ეპოქა პოლიტიკაში თუ გვინდა, ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე, ჩვენი შვილებისა და მომდევნო თაობების საქართველოზე.

ვიცი, კარგად ვიცი, ვინც საარჩევნო ხმას ყიდის, ამით საკუთარი შვილები, მოდგმის მომავალს ყიდის და ვინც ხმას ყიდულობს, ამით ჩვენზე ბატონობას ყიდულობს და ქვეყანას ყიდის.

25 წელია, ასეთ ყოფაში ვართ. ეს უნდა დამთავრდეს!

პარტია „თეთრების“
თავმჯდომარე
თეიმურაზ შაშიაშვილი.

11 აგვისტო, 2016 წელი

◎ ექსკლუზიური ინტერვიუ

ნანი ბრეგვაძე:

„უმადურობა საშინელებაა!“

„ცრუსთავი-2“ ისევ სათავისოდ ჭრის და კერავს სიუჟეტებს!

...ვრეკავ ნანი ბრეგვაძესთან, რა თქმა უნდა, ბინის ტელეფონზე – მობილური, ინტერნეტი მისთვის არ არსებობს. მაგრამ, ამ პაპანაქებაში თბილისში იქნება?

– დიახ! – სწორედ ნანის ხმა:

– გამარჯობათ, ქალბატონო ნანი! გაწუხებთ სოსო ჭუმბურიძე, თუ გახსოვართ?

– როგორ არა, როგორ არა!

– როგორ ბრძანდებით, ქალბატონო ნანი?

– არა მიშავს, თქვენ?

– მეც ასე... ქალბატონო ნანი, თქვენ ხომ იცით როგორ მიყვარხართ. კი, მთელ საქართველოს უყვარხართ, მაგრამ მე ბევრი ვერ გამეჯიბრება...

– მჯერა, დიდი მადლობა.

– ქალბატონო ნანი, რაკი სიყვარული მალაპარაკებს, გულახდილი უნდა ვიყო თქვენს წუხანდელ გამოსვლასთან დაკავშირებით...

– დიახ, ოღონდ ჯერ მე გეტყვით: მე მხარი დავუჭირე არა კონკრეტულად ვინმეს, არამედ სატელევიზიო არხს.

– მაგრამ, თქვენი ფრაზები ცუდად გამოიყენეს. მინდა, თავიდანვე გითხრათ, რომ „რუსთავი-2“-ის დახურვას არავინ აპირებს, მაგრამ „რუსთავი-2“ არ არის ნიკა გვარამია.

– რასაკვირველია, და მეც ამას ვგულისხმობდი. ძალიან ძნელად დამითანხმეს ამ ინტერვიუზე. იქ ისიც ვთქვი, რომ შიგნით რა ხდება – არ ვიცი და არც მეხება, მაგრამ ეს არ გაუშვეს ეთერში.

– სწორედ ამიტომ, ქალბატონო ნანი, ამ არხს უკვე აღარ ჰქვია თავისუფალი, შემთხვევით კი არ ეძახიან „მიშავიზიას“.

– მე პოლიტიკაში არ ვერევი.

– ქალბატონო ნანი, დღეს „რუსთავი-2“-ზე თქვენი გამოჩენა თავისთავად პოლიტიკაა. ახლა კიკეთში ვარ და უკვე არაერთმა მკითხა – როგორ, ნანი გადაუდგა ბიძინა ივანიშვილსო?

– რას მეუბნებით!..

– დიახ, და სწორედ ამიტომ დაგირეკეთ!

– ჩამოსახრჩობად რომ გამიყვანონ, მაინც ვიტყვი, რომ ბიძინა ივანიშვილის მადლიერი ვარ. უმადურობა საშინელებაა. საერთოდ, ყველასთვის სიკეთე მინდა. ცხოვრებას ისე ვამთავრებ, რომ კონფლიქტი არავისთან მქონია.

– რა დროს ცხოვრების დამთავრებაა, ქალბატონო ნანი, თქვენ კიდევ დიდხანს, დიდხანს უნდა იყოთ თქვენს სამშობლოსთან, თქვენს თბილისთან, თქვენს თაყვანისმცემლებთან ერთად!..

– გმადლობთ, გმადლობთ!

ესაუბრა
იოსებ ჭუმბურიძე

◎ უუმაღლესი?!.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მე, როგორც ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი, ვალდებული ვარ, პირველ რიგში, დავიცვა ქვეყნის ერთიანობა და სუვერენიტეტი“.

სრული აბსურდი და სიტყვების რახარუხი. დიახ აბსურდი, რადგანაც ქორწინების შესახებ რეფერენდუმთან მიმართებაში, ე.წ. „სამოქალაქო სექტორის“ და შემდგომ მარგველაშვილს მთავარი შემაშფოთებელი ფაქტორი, როგორც ე.წ. „მედიაექსპერტი“ ნინო დანელია ამბობდა, ყოფილა ის, რომ თემა **„ხელოვნურად არის შემოტანილი სწორედ პრორუსული პროპაგანდისა და იმ ძალების მიერ, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში პრორუსული გავლენის გაზრდას. ხელისუფლება ცდილობს, რეფერენდუმით არჩევნებზე ჰომოფობიური, აგრესიული, პრორუსულად განწყობილი ამომრჩეველი მოიყვანოს“.**

მარგველაშვილმა აქცენტები მხოლოდ „რუსულ საფრთხეზე“ გააკეთა, ხოლო „ჰომოფობიურად“ განწყობილი ამომრჩეველი არ უხსენები, რადგან ისეთ „წვრილმანზე“, როგორც არჩევნები და ამომრჩევლის აქტიურობაა, არ „დახურდავდა“. სამაგიეროდ, ამომრჩევლის გასააქტიურებლად მან საარჩევნო კამპანიას დაწყება დაანონსა. როგორც მარგველაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა, ეს კამპანია იქნება არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი, არამედ მიმართული იქნება იმისკენ, რომ ამომრჩეველი საარჩევნო უბნებზე მივიდეს.

„ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოცდილება არის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება. დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი და განმსაზღვრელი არის ამომრჩევლის აქტიურობა. ხვალიდან ვიწყებ კამპანიას, რომელიც ორგანიზებულია და ორიენტირებულია ამომრჩევლის გასააქტიურებლად. ეს არ იქნება არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი კამპანია. ეს იქნება ახალგაზრდების კამპანია, რომ ჩვენ შევძლოთ და გამოვიყვანოთ რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი. როგორც ჩანს, ყველაზე პასიური ამომრჩეველი 18-დან 35-წლამდე ამომრჩეველია და სწორედ ამ სეგმენტის გააქტიურება მინდა. ჩვენ გვინდა გამოვიყვანოთ ამომრჩეველი, მან გააკეთოს არჩევანი ნებისმიერი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, მივიდეს საარჩევნო ყუთთან. რიგები საარჩევნო ყუთებთან არის გარანტია ქართული დემოკრატიის“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

კი, ბატონო, ამ განცხადებაში სრულად ვეთანხმები. ვეთანხმები, რომ სწორედ 18-დან 35 წლამდე ასაკის ამომრჩეველი უნდა გააქტიურდეს და, სწორედაც რომ, რიგები საარჩევნო ყუთთან არის დემოკრატიის მაჩვენებელი, მაგრამ ის, რომ მარგველაშვილის „კამპანია“არ იქნება არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერი,სრული ბლეფია.

მისი კეკლუცობა ნაცმოძრაობის ბოლო გოდოლ პაპუაშვილთან, მისი კეკლუცობა ასევე ნაციონალების ფორპოსტ ე.წ. სამოქალაქო სექტორთან და „დემოკრატიის ნიღაბში“ დამალული სხვა მრავალი გამიზნული ქმედება, ნათლად გვაჩვენებს, რომ გიორგი მარგველაშვილი ქართველი ხალხის, საქართველოს მოსახლეობის დაუძინებელი მტრის მიხეილ სააკაშვილისა და მისი ბანდის რიგითი სატელიტია.

რიგითი იმიტომ, რომ მას ბოკერიები, გიგაურები, ალასანიები და რესპუბლიკელები, სააკაშვილის ჩრდილში ადგილს ნამდვილად არ დაუთმობენ, რადგან მარგველაშვილი სუსტი ფიგურაა როგორც პოლიტიკურად, ისე პიროვნულად (სექსის მრავალფეროვნებაზე არაფერს ვიტყვი, რადგანაც მისი ეს მხარე ნამდვილად არ მაინტერესებს).

მარგველაშვილს არ ჰყავს თავისი პოლიტიკური გუნდი, რადგან ვერც ფიქრია ჩიხრაძე, ვერც კოჟორიძე და ვერც ვანო მაჭავარიანი, პოლიტიკურ გუნდს ვერასდროს ვერ შექმნიან, რადგან ისინიც სააკაშვილის ბანდის რიგითი „შნირები“ არიან.

რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმის შემდეგ, მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ის მზად არის, შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს.

ეს განცხადებაც ძალიან სუსტი და პოლიტიკურად აბსოლუტურად გაუაზრებელია. რადგან იგი გაკეთებულია ვითომ „რუსეთუმეებისთვის“ კოჭის გაგორების მიზნით (შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას მართლა სჯერა, რომ ის რეფერენდუმი რუსეთის შეკვეთაა), მაგრამ ამას აღარავინ ჭამს. არავინ წამოეგება ე.წ. სამოქალაქო სექტორის პიარჯგუფში მოფიქრებულ ამ სისულელეზე, რადგან ყველამ და, მათ შორის, თავად მარგველაშვილმაც ძალიან კარგად იცის, რომ პუტინი მას არასოდეს არ შეხვდება. თვით რაიმე სამიტის მიმდინარეობისას შენობის ტუალეტშიც კი (როგორც სააკაშვილი უსაფრდებოდა დერეფნებში და სხვა ადგილებში ბარაკ ობამას). და ვერ შეხვდება იმ მარტივი მიზეზის გამოც, რომ იქ, სადაც მარგველაშვილს წასვლა აქვს ნებადართული, პუტინი არ დადის.

რაც შეეხებათ შეშფოთებულ არასამთავრობოებს, უბრალოდ მინდა, ვუთხრა: – ადექით და მოიყვანეთ რეფერენდუმზე არააგრესიული, არაჰომოფობიური, არაპრორუსული ამომრჩეველი და დაამარცხეთ ეს „ბნელეთის მოციქულები“, მაგრამ ქართველმა ხალხმა ძალიან კარგად იცის, რომ სწორედ თქვენ, თქვენს პატრონებთან ერთად ხართ ჰომოფობები, თქვენ ხართ აგრესიულები და თქვენ მთელს ძალისხმევას ახმართ ნამდვილი ევროპის და დასავლური ცივილიზაციის მახინჯი ფორმებით წარმოჩენას. იცის, რომ ზუსტად თქვენ ხართ იმ ბნელეთის მოციქულები, რომლებიც ნებისმიერ ნორმალურ, ცივილურ ქვეყანაში ყოვლად მიუღებელი არიან!

გია გაბრიჭიძე



ავირჩიოთ ადამიანები, რომლებსაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვაც!..

გარეთ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა მხსნელები და პატრონები!

წარსულის ანალიზის გარეშე წარსულში ჩავრჩებით. იქნებ დღეს ჩვენ სწორედ ეს გვჭირს.

შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველა, ვინც ნოვატორობს და რეფორმატორობს წარსულის ლანძღვით, ყველაფერს სათავისოდ ირგებს, საქვეყნო ანალიზის თავი არა აქვს, მომავალს ვერ ხედავს და წარსულშია თვითონ. ასეთთა უმრავლესობა გარბის პარლამენტისკენ.

ჩემი დაკვირვება და გამოცდილება მარწმუნებს: დიდი სიფრთხილით შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტში შესვლისათვის თავს იკლავს, ფულს ხარჯავს და ამავე დროს, შევეხვეწოთ, სწორედ რომ შევეხვეწოთ, პარლამენტზე იფიქროს ყველა იმ ადამიანმა, ვინც მართლა რომ ჰაერივით სჭირდება უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ჩვენს სამშობლოს.

„შეფუთული“, „გალამაზებული“ თვითმარქვია პოლიტიკოსები კი არა, მაღალი რეპუტაციის (!) პროფესიონალები, ცხოვრებით გამოცდილები... ადამიანები, რომლებსაც ქართული სული აქვთ, მაგრამ ესმით მსოფლიოს სუნთქვაც — ეს სჭირდება დღეს საქართველოს.

როგორ მოვძებნოთ?

ჩემი რჩევა მარტივია: **გადით ხალხში, გაიგეთ ხალხის აზრი! ხალხში დიდი სიმართლეცაა, დიდი იმედგაცრუებაც და, რაც ყველაზე ცუდია, უიმედობაც. ვერც ბელადებმა გვიშველეს და ვერც ფულმა. გადარჩენა განათლებაშია, პატიოსან ადამიანებშია.**

გულს მიკლავს, რომ უამრავი ჩვენში, მათ შორის, ისინიც, რომელთა მიმართაც კეთილი განწყობის მეტი არაფერი მაქვს, დღესაც მაღალ სახელისუფლებო ეშელონებში რომ არიან, **ფიქრობენ პარტიის და არა ქვეყნის გადარჩენაზე. ფიქრობენ მეგობრების, საკუთარი სტატუსისა და სკამის და არა ქვეყნის გადარჩენაზე. დამწვარა ყველა სკამიც და რა ჯანდაბად გვინდა პარტიები, ასეთი მეგობრობა, თუ ხალხი და ქვეყანა ამ მდგომარეობაში იქნება?!**

ქვეყანა უახლოვდება ძალიან მნიშვნელოვან მიჯნას, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს მომავალს უახლოესი ოთხი წლის (და არა მარტო) მანძილზე. მე თუ დამეჯერება, ვიტყვი: როგორც არასდროს, ისეთია ამ არჩევნებში ჩვენი — ხალხის პასუხისმგებლობა, თითოეული ამომრჩევლის პასუხისმგებლობა. **მომავლის პარლამენტში ჩვენ, ხალხმა უნდა ავირჩიოთ ის, ვინც კარგად იცის ორი რამ მაინც: ბუნების კანონები და ... დაგროვილი ნაგვის (მე მას პოლიტიკურ ნაგავს ვუწოდებდი, რომლითაც გაივსო საზოგადოებრივი ცხოვრება) გადამუშავება.**

პირველი საჭიროა იმისათვის,რომ სახელმწიფო მართვის პოლიტიკა მთლიანად ეყრდნობოდეს ქართველი ხალხის ბუნებას და თავისუფალი იყოს თავსმოხვეული უცხო იდეოლოგიებისაგან, ანუ ის, რაც ასე შეკრებილად დაგვიტოვა ერის მამამ, **ილია ჭავჭავაძემ „საერთო ნიადაგის თეორიის“** სახით.

ხოლო მეორე — რათა ყველა დონეზე ბლომად დაგროვილი ნაგავი გადამუშავდეს, მხოლოდ დიდი სიფრთხილით და ყურადღებით, რადგან ყველა ნაგავშია ბაჯაღლო ოქროც და ყველა ნაგვის გამოყენება შეიძლება სათანადო ოპერაციების შემდეგ. შემაძრწუნებელია, რომ პარტიათა უმრავლესობა მის გარდა ყველა სხვას „ნაგვად“ მიიჩნევს.

მე კი ასე ვფიქრობ: ყველაზე დიდი ნაგავი თვითკმაყოფილებაა. ყოველი ხელისუფლება, პარტია თუ პოლიტიკოსი, იმ ზომითაა ნაგავში, რა ზომითაც თვითკმაყოფილია. ხალხი მართლაც შეძრწუნებულია ყველა დონეზე გამეფებული თვითკმაყოფილებით.

ქვეყნისათვის უკადრებელი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ბუნების კანონებისადმი მორჩილებაშია. სწორედ ბუნების კანონები გამოარჩევენ კარგს ცუდისაგან. ჩვენ კი, 25 წელიწადია, ვცხოვრობთ **„ოთახის კანონებით“,** სწორედ რომ ვცხოვრობთ — **„ოთახის კანონებით“** და სახელმწიფოც იმართება **„ოთახის კანონებით“,** როცა ძლიერნი ამა ქვეყნისანი კანონებს ირგებენ თავის თავზე. კანონი, როგორც ასეთი, უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას. ბუნების სამართალი და კანონი მანამდე არსებობდა, სანამ სახელმწიფოები წარმოიშობოდა. ის უტყუარია და მას მუდამ ექნება უპირატესი უფლება, ვიდრე ოთახში დაწერილ და მავანთა ინტერესებს მორგებულ კანონს. საქართველოში ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ბუნებრივი კანონზომიერების გააზრება არ ხელეწიფება. შესაბამისად, ისინი საკუთარ ქვეყანაში უცხო სისტემაში (აშშ, ევროპა) მოქმედი კანონების პლაგიატს ნერგავენ. **ლოგიკა კი მარტივია: სახელმწიფო, რომელიც ცხოვრობს ბუნების კანონებით — აღწევს ყველაზე მაღალი გვარის დემოკრატიას.**

კუჭის პრობლემა ვერ გადაწყდა გონიერებით, როგორც ხშირად ვამბობთ, ტვინით გატენილი ადამიანების და ღვთითბოძებული წალკოტის ქვეყანაში. მსოფლიომ იცის ჟინულოვანი, უმიწო და უწყლო ქვეყნები როგორ აძლიეს წალკოტად ხელისუფლებებმა მეცნიერებაზე, ნიჭიერ ხალხზე დაყრდნობით, საძვარულით. ჩვენი პოლიტიკით წალკოტი უდაბნო ხდება. საკუთარი უმეცრობით დაჩაჩანაკებულია ადგილობრივი თვითმმართველობა. არ შეიძლება, დანაშაულია ამ ქვეყანაში ამდენ გონიერ და საძმის გამკეთებელ ადამიანს ხელისუფალთაგან მისჯილი ჰქონდეს უსაძმურობა და ტანჯვაში ცხოვრობდეს!

ვის მოსწონს და ვის — არა, ეს მძიმე რეალობაა!

გული მწყდება, რომ ჩვენი სულიერი მამის, ილია მეორის, ცნობილი მეცნიერების, მოღვაწეების პრესაში გამოქვეყნებული უამრავი კეთილი რჩევა დარჩა ყურადღების გარეშე.

უკადრებელი გვაკადრეს, გვეუბნებიან: **რაც გინდა, წერეთ და იკითხეთო, არავის აზრი არ გვაინტერესებს, ჩვენ ყველაფრისმცოდნენი ვართ და რაც საჭიროა ქვეყნისთვის, ვაკეთებთო.**

რა არის ეს, თუ არა მართვის პრობლემები, პირდაპირ ვთქვათ — უმართაობა და უპასუხისმგებლობა?! ხელისუფლებები იცვლებიან, ხალხი კი უარესად ღატაკდება. **პასუხი** დღემდე არავის უგია.

ქვეყანაში უმართაობა სწორი მართვით რომ შეიცვალოს — თანამდებობებზე პროფესიონალები და ცხოვრებით გამოცდილები უნდა მოვიდნენ.

ჩვენს თვალწინ დამოუკიდებელი საქართველოს ყველა ხელისუფლება ეთამაშებოდა ახალგაზრდობას, პირდაპირ ვთქვათ, სპეკულირებდა მათი ასაკით, მიზანშეწონილზე 10-15 წლით ადრე ნიშნავდა თანამდებობაზე, შეჰყავდა საარჩევნო სიებში და უპირისპირებდა უფროს თაობას.

დაგვანგრია ამ მზაკვრობამ. ბევრი ახალგაზრდა დაგვაკარგვინა და უფროს თაობასთანაც პრობლემები შეიქმნა. საშუალო თაობის თავზე წისქვილის ქვა ტრიალებს. ქვეყანაში ტოტალური „ხიდჩატეხილობაა“, ბატონებო! აზრი დაკარგა საკუთარ ქვეყანაში განათლების მიღებამ, აზრს კარგავს ეროვნული სულის პარტიებიც, არასამთავრობოებიც, პრესაც, ტელევიზიაც... გაბატონდნენ უცხოეთიდან ფინანსირებადნი და მხარდაჭერილნი.

ხალხი გაოგნებულია საზოგადო მოღვაწეების, ინტელიგენციის, მიჭირს თქმა, სახელმწიფო კაცების დუმილით. „გაიყიდეთო,“ — გვეუბნებიან, მთავრობებზე, პოლიტიკოსებზე, პოლიტიკურ პარტიებზე, ფულიანებზე გაიყიდეთო!

ხალხს არც გაყიდულის სჯერა და არც მყიდველის. ორთავე საქართველოს, ქართულ სულს ებრძვის!

მინდა, ვიცხოვრო ბედნიერებით სავსე სამშობლოში!

როგორც ბევრი სხვა, მე არც გავყიდულვარ და ვერც ვერავინ მიყიდის, მაგრამ რეალობას თვალს ვუსწორებ — ხალხი მართალია. მას სწორ გზაზე დაყენება უნდა და მას კარგი მმართველი სჭირდება!

მსოფლიო ამაყობდა და ამაყობს ქართული კულტურით, ქართველი მეცნიერებით, ხელოვნების და კულტურის მოღვაწეებით, პოლიტიკოსებით, მხედართმთავრებით, მასწავლებლებით, ექიმებით, სპორტსმენებით. ეს ჩვენი ქვეყნის დიდი სიმდიდრეა. დღეს ხალხს ვჭირდებით, ბატონებო, ხალხს და დავდგეთ ხალხთან!

მადლობა ჩემს მეგობრებს, ყველას, ვისაც შევხვდი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში, „ქართული ერთობის დარბაზს“, კეთილი რჩევაც ბევრი მომცეს და მხარიც დაგვიჭირეს.

ჩვენ ამ საკითხებზე არაერთგზის გვისაუბრია. ეჭვი არც იმაში მეპარება, რომ უამრავი ფიქრობს ასე. უფრო მეტიც, მე ვთქვი ის, რაზეც საუბრობს საზოგადოება. ვთქვი იმიტომ, რომ მოქმედებაა საჭირო და ამას ვეუბნები არა სხვას, არამედ საკუთარ თავს. რადგან ვიცი, ყველაზე დიდი გამარჯვება, საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

თითქოს მარტო ვიდექი მსოფლიო ტიტანების წინ საჭიდაო ხალიჩაზე, მაგრამ მოწინააღმდეგის კარგად შესწავლა და ქართული სული მამარჯვებინებდა. დაუმარცხებლად დავტოვე საჭიდაო ხალიჩა. წარმატებული ადამიანი ვარ ცხოვრებაშიც, მაგრამ დღევანდელობით მოსვენება მაქვს დაკარგული...ერთეულთა წარმატება ტაძრამდე მისასვლელი გზა არ არის. მინდა ვიცხოვრო ზნეობით, ინტელექტით, ბედნიერებით სავსე სამშობლოში! ამას იმსახურებს მრავალნატანჯი საქართველო, ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა.

ეს არ არის ძნელი:

- **ღირსება ხალხში;**
- **პასუხისმგებლობა ხელისუფლებაში;**
- **ღირსეულის დაფასების პოლიტიკა ქვეყანაში;**
- **ხალხსა და ქვეყანაში იმის გაცნობიერება, რომ ხელისუფლება ხალხის მსახურია და არა უფროსი;**
- **ხალხსა და ქვეყანაში იმ რწმენის გაძლიერება, რომ სამშობლოს გადარჩენა ჩვენშია — ქვეყანაშია, გარეთ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა მხსნელები და პატრონები.**

ასეთი დიდი ქართული მიზნისთვის ღირს ცხოვრებაც და თავგანწირვაც.

სწორედ ამიტომ ვამბობ: დიდი ძართული ერთობით გაიმარჯვებს ჩვენი სამშობლო და თითოეული ჩვენგანიც.

რწმენით და იმედით
რომან რურუა.
21 ივლისი, 2016 წელი

უკადრებელი გვაკადრეს, გვეუბნებიან: რაც გინდა, წერეთ და იკითხეთო, არავის აზრი არ გვაინტერესებს, ჩვენ ყველაფრისმცოდნენი ვართ და რაც საჭიროა ქვეყნისთვის, ვაკეთებთო.

რა არის ეს, თუ არა მართვის პრობლემები, პირდაპირ ვთქვათ — უმართაობა და უპასუხისმგებლობა?! ხელისუფლებები იცვლებიან, ხალხი კი უარესად ღატაკდება. პასუხი დღემდე არავის უგია.

ჩვენ ასეთი გაბედული და მამაცი ადამიანებით შევქმნით დიდ ქართულ ერთობას – ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

დღემდე საარჩევნო სიებს ადგენდნენ პოლიტიკური პარტიები, ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერები. ამ გზამ ჩიხში შეგვიყვანა.

ჩვენ სხვა გზას ვირჩევთ. სიები უნდა შედგეს მხოლოდ ხალხთან და საზოგადო მოღვაწეებთან დიდი მოთათბირების საფუძველზე.

ჩვენთვის უპირველეს კრიტერიუმთა შორისაა რეპუტაცია, პროფესიონალიზმი, გამოცდილება, ქართული ცნობიერება შერწყმული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან

ჩვენ სამარცხვინოდ ვთვლით დღემდე დამკვიდრებულ ასაკობრივ გრადაციას და ვამბობთ ქართულად: **ხელისუფლება აზროვნებაა და არა ასაკი.**

ჩვენ უარი უნდა ვთქვათ პარტიიდან პარტიაში მორბენალ მედროვეებზე, ყველას და ყველაფერს რომ ერგებიან, მრავალპარტიელებზე

ჩვენ უნდა დავაფასოთ გამოცდილი ადამიანები. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები, **ზვიად გამსახურდიას** გარემოცვაშიც, **ედუარდ შევარდნაძის** პერიოდის პარლამენტშიც, **ასლან აბაშიძესთან , მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც,** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა. მაგრამ რამდენიმე პირობით, მხოლოდ ისინი, ვინც:

- ხელისუფლებაში ყოფნის დროს სახე შეინარჩუნა, გაუძლო ცდუნებას;
- არ გაბოროტდა ოპოზიციაში ყოფნის დროს;
- სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა და ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა;
- დღესაც აქვს დიდ და კეთილ საქმეთა კეთების რესურსი.

ჩვენ უნდა გვინდოდეს, რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში.

დღევანდელ საქართველოს ჰაერივით სჭირდება ამ ადამიანების გამოცდილება. ქვეყანაც გამთლიანდება მათი პარლამენტში ყოფნით და წარმოუდგენლად გაიზრდება ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ 2 მილიონზე მეტი ადამიანის სახელით უნდა შევძლოთ ისეთი ადამიანების პოლიტიკურ არენაზე გამოყვანა, რომელთაც:

- კარგი კონტაქტები აქვთ იმ ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან;
- დიდი ავტორიტეტი აქვთ ქართულ დიასპორაში;
- კარგი რეპუტაციით სარგებლობენ ადგილობრივ მოსახლეობაში.

დღევანდელ საქართველოს სჭირდება პარლამენტი, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას გაცნობიერებული ექნება უპირველესი და უმთავრესი:

ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

და ეს არ ნიშნავს ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები პლანეტარულთან. ასე იყო და ასე იქნება, თუ ავირჩევთ არა ლაპარაკით, არამედ აზროვნებით ქართული ცნობიერების ადამიანებს, თუ უარს ვეტყვით ურაპატრიოტებსაც და გლობალისტებსაც.

ჩვენ გვინდოდა, დღეს დაგვეწყო გამოქვეყნება იმ ადამიანთა პირველი სიის, რომელთა მიმართ საზოგადოებაში ძირითადში კარგი განწყობაა. საინიციატივო ჯგუფმა ეს ერთი კვირით გადადო. პირველი ეტაპის ამოცანად ჩათვალა პროგრამული დოკუმენტების გამოქვეყნება. ხალხმა უნდა იცოდეს პროგრამა — რა გვინდა და გადაწყვიტოს, ვის ანდოს მისი განხორციელება.

მომდევნო ხუთშაბათს ტელეკომპანია „ქართული ტვ“-ს პირდაპირი ეთერით 17 საათზე, ხოლო პარასკევს პრესაში დავიწყებთ მოსახლეობასთან, მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეული ადამიანების სიების გამოქვეყნებას. ამ პროცესში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება. ამავე გაზეთში ვაქვეყნებთ ჩვენთან საკონტაქტო, ასევე ტელევიზია „ქართული ტვ“-სთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

დიდი მადლობა ყველას, ვინც საფუძვლიანად გაეცნობა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის ნააზრევს. ვინც შეძლებს, სხვაც დააინტერესოს და ურჩიოს მისი წაკითხვა. ეს პრაქტიკულად იქნება ამ დიდ ქართულ პროცესში ჩართვა. ამის კარგი მაგალითი მოგვცა „ქართული ერთობის დარბაზის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბატონმა რომან რურუამ, რომლის პოზიციასაც მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი სრულად ვიზიარებთ.

ჩვენ ასეთი ადამიანებით და ასეთი გაბედული ქმედებებით შევქმნით დიდ ქართულ ერთობას — ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს დიდგორის ლაშქარს!

ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია მეცნიერთა შეფასებით, ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ზოგადქართულ დოკუმენტში **„მოქმედების მანიფესტს“ — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“.**

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი
„ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“

12 აგვისტო, 2016 წელი

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის განსაკუთრებული პოზიცია – მიმართვა

სამართლიანობა ვერ იქნება, თუ ამ არჩევნებზე ყველა პოლიტიკურ პარტიას არ ექნება ერთნაირი სასტარტო მოედანი. სასტარტოს შემთხვევით არ ვამბობთ. **ჩვენი აზრით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მთავარი პოლიტიკური მიღწევა არის ის,** რომ საქართველოში პირველად ხდება, როცა პარტიები ძირითადში, არჩევნებზე მიდიან დამოუკიდებლად, კოალიციების გარეშე, ანუ ისე, როგორც ეს ხდება ევროპაში, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.

სწორედ ამიტომ ჩვენი პრინციპული პოზიცია ასეთია: თუ ვფიქრობთ საქართველოზე, ეროვნულ თანხმობაზე, ხელისუფლებაში ქვეყნის ერთგული, ჯანსაღი პილიტიკური ძალების მოსვლაზე, არ ვართ დაინტერესებული პირადი ერთგულების ხალხით, მაშინ რა გვიშლის ხელს გადავდგათ ძლიერი პოლიტიკური ნაბიჯი და გავაუქმოთ პარტიების დაყოფა კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად. მით უფრო მაშინ, რომ პრაქტიკულად არც ერთ პარტიას ეს კვალიფიციურობა არ აქვს მოპოვებული მისი პოლიტიკური ავტორიტეტით და იგი შედეგია ფულის და ერთი კაცის მიმართ ოთხი წლის წინათ საქართველოს მოსახლეობის მიერ გამოხატული ნდობის, რომელიც სწორედ ამ პოლიტიკურმა პარტიებმა მიწასთან გაასწორეს!

ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ ხელისუფლებას აღმოაჩნდება პოლიტიკური ნება, რომ ბატონ ბიძინა ივანიშვილს აღმოაჩნდება პოლიტიკური სიმაღლე, რომ ქვეყნისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან და შესაძლოა, საბედისწერო ჟამს, ერთი პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერად არ გამოვა.

გვინდა გვჯეროდეს, რომ გამოჩნდებიან მედიასაშუალებები, რომლებიც თავიანთ საინფორმაციო სივრცეს ყველას გადაუნაწილებენ და მოშლიან პარტიების კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად დაყოფის დამანგრეველ სისტემას.

გვინდა გვჯეროდეს, რომ არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია განსაკუთრებულად დაიცავს თავიანთ დამკვიდრებლებით ხელისუფლებისაგან უარყოფილ არაკვალიფიურ საარჩევნო სუბიექტებს.

ეს სურვილი განსაკუთრებულად გვაქვს ბატონ ივანიშვილის მიერ შექმნილი „მოქალაქის“ მიმართ. კარგი იქნება, თუ ეს უკანასკნელი დამკვირვებლად ჩასვამს სწორედ არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ რეკომენდირებულ პიროვნებებს.

მიმართვა პოლიტიკურ პარტიებს

ჩვენ გვჭირდება თანამშრომლობა არა პოლიტიკური ფრაქციების შექმნისათვის, არამედ დასხდომა მრგვალ მაგიდასთან, იმის აღიარება, რომ ქვეყნის დღევანდელი და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა სწორედ ჩვენი ბრალია; აღიარება იმის, რომ ამ წლებმა ჩვენში სერიოზულად გააჩინა ზნეობის დეფიციტი და უამრავი ზნეობრივი პროფესიონალი პოლიტიკოსი გარიყა; აღიარება იმისა, რომ ჩვენს გარეთ, პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული, ძლიერი პოლიტიკოსი, ვიდრე ჩვენს შორის... ჩვენი ამოცანაა, ვიფიქროთ ასეთი ადამიანების პარლამენტზე...

ჩვენ მივმართავთ პოლიტიკურ პარტიებს ასეთი თანამშრომლობის თაობაზე.

ჩვენ, ასეთი პოზიციით ვერთვებით საარჩევნო პროცესში. ჩვენი მთავარი დოკუმენტი იქნება, ერთი მხრივ, ქვეყნის პოტენციალის ანალიზი, მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი, და რაც მთავარია, პროგრამა — ამ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში როგორ ავამოქმედოთ მისი პოტენციალი

გვინდა, ვირწმუნოთ, რომ ურთიერთკომპრომისებით შევძლებთ ეროვნული თანხმობის, ხალხის ნდობით აღჭურვილი პარლამენტის ფორმირებას.

ეს დიდი ქართული გამარჯვება იქნება.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის სახელით
პროფესორი
რამაზ ლომინაძე

20 ივნისი, 2016 წ.

იხ. მე-6-7 გვ.

ქართული, მხოლოდ

ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს - ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

მეცნიერთა ჯგუფის მიმართვა ხალხს, ხელისუფლებას, ოპოზიციურ პარტიებს, მედიას, არასამთავრობო სექტორს

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია — **მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.**

პოზიცია

„ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ შექმნის აუცილებლობის შესახებ და მისი შექმნის კონცეფცია

I. ზოგადი დასკვნები

ჩვენ, მეცნიერები, ექსპერტები, პოლიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა დიდი ნაწილი, ჯერ კიდევ 2006 წელს ვიდექით ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობის სათავეებთან, შევიკრიბეთ და მეცნიერთა ფართო წრეების, საზოგადო მოღვაწეების წარმომადგენელთა მონაწილეობით დავიწყეთ ქვეყნის პოტენციალის, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესწავლა და იმ კონკრეტული პროგრამის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქვეყნის უდიდესი პოტენციალი.

ორწლიანი მუშაობის შედეგად:

ჩვენ დავასკვენით — ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის 25-მა წელმა არ მოგვცა ის შედეგი, რომელიც ყველასთვის სასურველი იყო. ნათელია, რომ საქართველო კატასტროფულად აგვიანებს, გახდეს სტაბილური სახელმწიფო, დღემდე არსებულმა ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის პოტენციალის 10 პროცენტზე მეტის ამოქმედება, ქვეყნის გარეთ, ჩვენ გამუდმებით ან საომარ მდგომარეობაში, ან წინასაომარ მდგომარეობაში ვართ, ქვეყნის შიგნით — ხელისუფლების განდევნისათვის მუდმივ ბრძოლაში, რისი პრეცედენტიც დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე ეტაპზე შევქმენით.

ჩვენ მივაქციეთ ყურადღება კიდევ ერთ მძიმე შედეგს: **ერთი მხრივ,** ერი, რომელიც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ერთადერთი სუვერენია, ვერაფრით გახდა ქვეყნის პატრონი, **მეორე მხრივ,** საზოგადოებამ ვერაფრით ვერ შეიძინა სამოქალაქო ღირსებისა და სამოქალაქო პროტესტის გრძნობა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ არ შეიძლება, ქვეყნის ბედს ერთპიროვნულად განსაზღვრავდნენ პარტიული ლიდერები, რომლებმაც სამწუხაროდ, ვერ შეძლეს, ამაღლებულიყვნენ ვიწროპარტიულ და ვიწროჯგუფურ ინტერესებზე.

ჩვენ ვაღიარეთ ისიც, რომ ამ ყველაფერში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში — ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მისცეს საშუალება, პოლიტიკაში გაქცეულიყო.

ჩვენ არ მოგვწონს გზა, რომლითაც ქვეყანა 25 წლის განმავლობაში მიდის. დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, ვინაიდან უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც შედის არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა. ჩვენ სერიოზულად გვაფიქრებს, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ თანდათან ვკარგავთ ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველას მივესალმებით, ვინც კანონიერების საფუძველზე აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვადიანი თუ ვადამდელი არჩევნების გზით. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ იმაშიც, რომ არჩევნებს არ შეიძლება წარმართავდეს ქვეყანაში ამჟამად მოქმედი კანონი, რომელსაც ყოველი ახალი ხელისუფლება თითქოს აუმჯობესებს, მაგრამ როგორც დრო ადასტურებს - ირგებს საკუთარ თავზე და ეს ყოველივე უაზროს ხდის არჩევნებში მონაწილეობას.

სწორედ ამის შედეგია ამომრჩეველთა უკვე კატასტროფულად დაბალი აქტივობა. **საარჩევნო სისტემის რეფორმა აუცილებელია, რათა წარმატებით დაგვირგვინდეს ახალი საქართველოს — ნამდვილად დემოკრატიული, ეროვნული, ქრისტიანული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი.**

ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ ქვეყნის წინაშე არსებული ურთულესი ამოცანების განხორციელებას მხოლოდ ხელისუფლება ან მხოლოდ პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ. დღეს ავანსცენაზე ის ადამიანები უნდა გამოვიდნენ, ვისი მეთოდიცაა მეცნიერული, სისტემური მიდგომა, მათ შორის რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ 25 წლის მანძილზე ხელისუფლებისათვის ბრძოლის ქუჩის პოლიტიკამ დაანაგვიანა პოლიტიკური პარტიებიც და ხელისუფლებაც, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიღმა, საქართველოს დღევანდელი რთული მდგომარეობისათვის სწორად მოაზროვნე გაცილებით მეტი პოლიტიკოსია, ვინემ არენაზე მყოფ პოლიტიკურ პარტიებში.

ჩვენ არასწორად მივიჩნევთ არჩევნების წინ პარტიების გაერთიანების **25-წლიან პრაქტიკას** და მიგვაჩნია, რომ პარტიები უნდა ერთიანდებოდნენ არა არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების შედეგების მიხედვით — პარლამენტში უმრავლესობის შესაქმნელად, ისე როგორც ეს ხდება დემოკრატიულ მსოფლიოში.

ჩვენ გვინდა ყველას ვუთხრათ: უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადასარჩენად. ეს მით უმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც არნახულად გაიზარდა გარე ძალების ზემოქმედება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, როცა გარედან, როგორც ფინანსური, ასევე პოლიტიკური, არნახული მხარდაჭერა აქვს იმ ძალებს, რომლებიც გამოირჩევიან ყალბი ეროვნული პათოსით, დემოკრატიის თამაშით, სოციალური დემაგოგიით, პოლიტიკური კორუფციით.

მომავლის საქართველოსთვის აუცილებლად მიგვაჩნია დაინერგოს პრინციპი: ქვეყანას მართავს ხელისუფლება — ხელისუფლებას მართავს საზოგადოება — საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა.

II. დღევანდელობის კონკრეტული შეფასებები

(ჩვენ სრულად ვეთანხმებით „ქართული ერთობის დარბაზის“ ანალიტიკურ კვლევას და შეფასებებს)

- **გრძელდება** ქვეყნის პარტიულ სამთავროებად დაყოფა, **გრძელდება** მეგობრობით და პირადი ერთგულებით ხალხის შერჩევა, **გრძელდება** დაპირისპირება პოლიტიკაშიც და პოლიტიკის გარეთაც, **წარმოუდგენელი ტემპებით** მიმდინარეობს ინტელიგენციის გაპარტიულება; განათლების, მედიცინის, სპორტის პოლიტიზება; პოლიტიკით გამდიდრებულთა და ბიზნესინტერესების მქონე ფულიანთა გაპოლიტიკოსება; ჯარის და, საერთოდ, ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა, ასევე არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების **ამომრჩეველთა ერთ პოლიტიკურ ხმად გადაქცევა.**
- **დამანგრეველია პოლიტიკური მანიით შეპყრობილთა სურვილი, პოლიტიკურ პროცესებში ჩართონ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.**
- **ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც როგორც ჩანს, მეცენატობა პოლიტიკური დივიდენდებისთვის გამოიყენება.**

დამაფიქრებელია, რომ:

ვლაპარაკობთ ერთობაზე, როდესაც გამოუყენებელია უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალი, არსებული როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და ამ დროს, პრაქტიკულად იგნორირებულია ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ადამიანთა პოლიტიკური პოზიცია. არადა, ისინი ამომრჩეველთა თითქმის 60%-ს შეადგენენ. სამწუხაროდ, არ იქნა გაზიარებული ჩვენი პოზიცია, დემოკრატიული ევროპის მსგავსად, პარლამენტში წევრები აერჩია ქვეყნის გარეთ მაცხოვრებლებსაც.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და ამ დროს, პრაქტიკულად იგნორირებულია სახელმწიფო კაცების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების მოღვაწეთა პოზიცია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში... ისინი წლების განმავლობაში ვერ ახერხებენ ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან არათუ შეხვედრას, არამედ მათთვის ხმის მიწვდენას.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და ხალხს ვეძებთ მხოლოდ საკუთარ გარემოცვაში და ვეძებთ არა ქვეყნისადმი ერთგულების, არამედ პირადი ერთგულების პრინციპით.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და პარტიები დავყავით კვალიფიციურებად და არაკვალიფიციურებად... 25-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხელისუფლებას ვინც აწყობს, ეხმარება ყველაფრით: ხალხის ფულით დაწყებული, სახელისუფლებო რესურსით დამთავრებული. ვინც არ მოსწონს, ებრძვის ყველა ფორმით და ცდილობს მათ გამარგინალებას. დამაფიქრებელია „ქართული ოცნების“ ცალკეულ ლიდერთა მხარდამჭერი განცხადებები კოალიციაში შემავალი პარტიების და თქვენ წარმოიდგინეთ, დაშლილი „ნაციონალური მოძრაობის“ უკვე პოლიტიკური სუბიექტების მიმართ, ხელისუფლების წარმომადგენელთა და განსაკუთრებით, საინფორმაციო საშუალებების მიერ მთავარ ოპოზიციურ ძალად „ნაციონალების“ წარმოჩენა, დანარჩენების, განსაკუთრებით კი ეროვნული განწყობის პოლიტიკური ძალების იგნორირებით.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და ვებრძვით პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებას. ჩვენ ეროვნულ სირცხვილად მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ძირითადი ტელევიზიებისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების უკან დგანან პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები, პოლიტიკით გამდიდრებულნი. რეალობა ადასტურებს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს პოლიტიკური გავლენისაგან თავისუფალი რეგიონული ტელევიზია თუ მედიასაშუალება.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და მთელი საინფორმაციო სივრცე, მეტიც, საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო გაჯერებულია სიძულვილის ენით, აგრესიით, ურთიერთზიზღით, განსხვავებული პოზიციის პოლიტიკოსებსა და მათი გუნდების მიმართ. პოლიტიკოსების, ნაცვლად ერთმანეთთან საუბრისა, ერთმანეთზე ვლაპარაკობთ.

ვლაპარაკობთ ერთობაზე და პოლიტიკური ლიდერები ხელისუფლებაში თუ ხელისუფლების გარეთ გაცილებით მეტად აფასებენ პარტიიდან პარტიაში მორბენალთ, პირდაპირ ვთქვათ, მოღალატეებს. დღეს ღალატი პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად იქცა. მრავალპარტიული პარლამენტის ნაცვლად, **უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე ჩვენ ვიღებთ არა მრავალპარტიულ პარლა-**

ქართული გზა!

ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ შექმნაშია

მენტს, არამედ მრავალპარტიულ პარლამენტარებს.

ასეთია რეალობა, რეალობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება „ნაციონალების“ მმართველობის პერიოდისაგან . ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ წინა ხელისუფლებაზე უკეთესი არ ნიშნავს იმ ხელისუფლებას, რომელსაც იმსახურებს საქართველო და ქვეყნის მოსახლეობა. არც ხელისუფალთა ის დაჟინებული ხაზგასმა გვაიმედებს - რაც შეგვიძლია, ვაკეთებთო. ყველას გასაგონად კიდევ ერთხელ ვამბობთ: საჭიროა ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის შესაძლებლობის მაქსიმუმზე იმუშავებს .

III. კოჰაბიტაცია თუ ეროვნული ერთობა

ეროვნული თანხმობა ეს არის სრულიად საპირისპირო, ვინემ დღეს არსებული პარლამენტის მიერ დაკანონებული კოჰაბიტაცია. ეროვნული თანხმობის უპირველესი მიზანი სამართლიანობაა. ხაზს ვუსვამთ, სამართლიანობა და არა სამართალი. სამართლიანობა ზნეობრივისა და სამართლებრივის ერთობლიობაა, ზნეობრივის პრიმატით. კოჰაბიტაცია — ეს არის ზნეობრივის უგულებელყოფა და სამართლებრივი კომპრომისი.

როცა ჩვენ ვფიქრობთ „ეროვნული თანხმობის პარლამენტზე“ სამართლიანობის გზით, ეს უპირველესად, ნიშნავს:

- ხალხმა დაიბრუნოს პოლიტიკოსების მიერ მისთვის წართმეული ქვეყანა.
- შეცდომად და დანაშაულად შეფასდეს 1991 წლის შეიარაღებული დაპირისპირება და ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.
- გასამართლდეს დღემდე არსებული ყველა რეჟიმი, „ნაციონალურის“ ჩათვლით.
- ქვეყანაში იყოს არა ე.წ. ბელადებისა და ფულიანთა ძალაუფლება, არამედ ნიჭის ძალაუფლება.
- გარანტირებული იქნას: სიცოცხლის უფლება, განათლების უფლება, სიტყვის თავისუფლება, საკუთრების უფლება, მისწრაფება უკეთესი ცხოვრებისაკენ.
- დღეს არსებული ბრძოლა არსებობისათვის, შეიცვალოს საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციით.

ეს ფუნდამენტური საკითხები დასტურია იმისა, რომ ეროვნული თანხმობა და კოჰაბიტაცია თვისობრივად არსებითად განსხვავებული მოვლენებია. პირველი — აღმშენებელი, მეორე — დამანგრეველი.

აქვე ვამბობთ:

სამართლიანობა ვერ იქნება, თუ ამ არჩევნებზე ყველა პოლიტიკურ პარტიას არ ექნება ერთნაირი სასტარტო მოედანი. სასტარტოს შემთხვევით არ ვამბობთ. **ჩვენი აზრით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მთავარი პოლიტიკური მიღწევა არის ის, რომ საქართველოში პირველად ხდება, როცა პარტიები არჩევნებზე მიდიან დამოუკიდებლად, ყოველგვარი კოალიციების გარეშე, ანუ ისე, როგორც ეს ხდება ევროპაში, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში.**

არც სამართლიანობა და არც ერთობა იქნება, თუ ძველმოდურად გავაგრძელებთ სახელმწიფო კაცების, მოღვაწეების, წარმატებული ბიზნესმენების ნებით, ხათრით თუ იძულებით პარლამენტში შეყვანას. ეს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება და მათი შეურაცხყოფა უფროა, ვინემ დაფასება. დავაკვირდეთ, პარლამენტში შესული ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეები ღირებულ პარლამენტარებად ვერ ჩამოყალიბდნენ, ხელოვნებამ და სპორტმა კი ამით ბევრი დაკარგა. ვხედავთ, როგორ ძლიერდება ხალხში ნეგატიური დამოკიდებულება პარლამენტში შესულ ბიზნესმენთა მიმართაც.

ერთობა არის იმ ქვეყანაში, სადაც არის ნიჭის ძალაუფლება, სადაც პატივს მიაგებენ ძლიერს და იცავენ სუსტს, სადაც მასწავლებელი, ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლები და მეწარმე ჰყავთ ხელისგულზე და ფეხქვეშ ეგებიან, უვლიან და ეფერებიან ბავშვს, ახალგაზრდობას.

ერთობა არის იქ, სადაც გაცნობიერებული აქვთ ბიბლიური სიბრძნე: მთავარში — ერთობა, სადავოში — თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში — სიყვარული.

სწორედ ამიტომ ჩვენ ვამბობთ:

ჩვენ შეიძლება ბევრი რამით განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან: ასაკით, მსოფლმხედველობით, მრწამსით, ეროვნული კუთვნილებით, სოციალური მდგომარეობით, პოლიტიკური პოზიციით, — **მაგრამ მთავარში, სამშობლოში, გვაქვს ერთობა და ერთნი ვართ იმაში, რომ ჩვენი მოქმედების საფუძველი სიყვარულია.**

IV. სამომავლოდ... რა გვინდა ჩვენ და რას ვითხოვთ ხელისუფლებისა და მომავალი პარლამენტისაგან

უპირველესი და უმთავრესი:

დასაძლევია დღევანდელობის რამდენიმე, განსაკუთრებით ოთხი უმძიმესი პრობლემა: **პირველი** — მმართველი პოლიტიკური ძალის თვითკმაყოფილება; **მეორე** — ოპოზიციის უკვე გამარგინალებასთან მიახლოებული გაბოროტება.; **მესამე — საზოგადოების ინდიფერენტულობა, ანუ** საზოგადოებაში თითქმის ყველა უბედურების „მერე რა“-თი გამართლების განწყობა და **მეოთხე** — საზოგადოების ერთი ნაწილის არჩევნებზე არმისვლით ტრაბახი (დემოკრატიული სამყაროს გამოცდილება ადასტურებს, რომ სწორედ მათ მოჰყავთ ცუდი მთავრობა, ვინც არჩევნებზე საკუთარი ხმის უფლებას არ იყენებს).

განსაკუთრებული მომავლის საქართველოსთვის

რამდენიმე თვის წინ, ქართული ინტელექტუალური განძთსაცავის უპირველეს ციტადელში — მეცნიერებათა აკადემიაში, ჩვენ **დავადასტურეთ სამების საკათედრო ტაძარში წარმოთქმული სიტყვა: - „შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე, ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად“ და შემდგომი განვითარება მივეცით „ქართული ერთობის დარბაზის“ მიერ 2015 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის დღეს, გელათის აკადემიის ისტორიულ კედლებში მიღებულ ზოგადქართულ დოკუმენტს, „მოქმედების მანიფესტს“ — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი , გაერთიანებული სახელმწიფო“, რაც პრაქტიკულად არის ქართველთა და საქართველოს შვილთა, ჩვენს ნამდვილ უცხოელ მეგობართა საუკუნეობრივი ოცნება, ქართული ნაციონალური იდეა —გაერთიანებული საქართველო და სამშობლოსათვის ერთსულოვნებით შეკრული ხალხი.**

მომავლის საქართველოსთვის გვესახება ოთხი პრიორიტეტული მიმართულება:

პირველი — განათლება და მეცნიერებაა სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი. ჩვენი წევრი და მეგობარი მეცნიერები დიდი ხანია მუშაობენ ამ პრობლემაზე;

მეორე — მეწარმეობის დაცვის გარეშე არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მეწარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მეწარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. ხელისუფლებამ მეწარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

მესამე — კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

მეოთხე — ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

საქართველოს სჭირდება ხელისუფლება, რომელიც ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამას გარე სამყაროსთან ურთიერთობისა — ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი, ფილოსოფიური გაგებით.

მომავლის საქართველოსთვის

- **ჩვენ გვინდა** არა მსოფლიო გლობალურ პროცესებთან დაპირისპირება, არამედ მისი ანალიზი, ამ პროცესებში გააზრებულად მონაწილეობა და არა სხვისი კარნახით, რაც მთავარია — თვითმყოფადობის შენარჩუნება;
- **ჩვენ გვინდა** არა უბრალოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა — დაკარგული ეროვნული თვითმყოფადობით, როგორც ამას სხვადასხვა სექტანტური ჯგუფები და ქვეყანაში მათი მხარდამჭერები გვკარნახობენ, არამედ რეალურად ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა;
- **ჩვენ გვინდა** ფიქრი არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ მოქმედება და ცხოვრება პრინციპით: „მშვიდობა და სიძლიერე შინ და გარეთ“;
- **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს პარლამენტში, ზოგადად ხელისუფლებაში წარმომადგენლები ჰყავდეს არა მარტო საქართველოს რეგიონებს, არამედ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიულად, თუ ბედის უკუღმართობით, საკუთარი თავისა და ოჯახის გადასარჩენად გადახვეწილ საქართველოს მოქალაქე თანამემამულეებს — ისე, როგორც ეს ხდება ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში;
- **ჩვენ გვინდა** სამყაროსთან ურთიერთობა ინტელექტითა და ბიზნესით, მაგრამ შენარჩუნებული თვითმყოფადობით;
- **ჩვენ გვინდა,** რომ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა ვაქციოთ პოლიტიკად, როგორც ეს დიდმა **დავით აღმაშენებელმა** შეძლო და შევცვალოთ პარტიებისა და პოლიტიკოსების მიერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის მთავარ პრინციპად დამკვიდრებული, პრაქტიკულად, ქვეყნის დამანგრეველი მოდელი — საქართველო ზესახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირების ადგილი (სწორედ ადგილად გვთვლიან, რაც ძალიან სამწუხაროა). ჩვენი ამოცანაა, საქართველო გადავაქციოთ ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესზე სხვა სახელმწიფოთა, მათ შორის, ზესახელმწიფოთა ინტერესების ზედდების ქვეყნად.

ყველაფერი ეს რთულია და ძნელზე ძნელი, მაგრამ შესაძლებელი.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარ დაპირისპირებას და პოლიტიკური სიძულვილით სავსე, პოლიტიკურ სამთავროებად დაყოფილ ქვეყანაში საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მივიჩნევთ და ამასვე ვუსურვებდით ქვეყნის ხელისუფლებას, ოპოზიციას, მედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. ეს, მართლაც, საშური საქმეა. დაპირისპირება სუსტების მოგონილია, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია — მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ.

ჩვენი პოზიცია უცვლელია: დაპირისპირებით და ზიზღით სავსე პოლიტიკური სივრცე სათნოებით და სიყვარულით უნდა შეიცვალოს, კონფრონტაცია პრინციპულობამ უნდა შეცვალოს... ჩვენ ჰარმონიზაციის რთულ და ძნელ გზას ვირჩევთ.

ჩვენ ასე ვხედავთ ქვეყნის მომავალს და ამისთვის მთავარია არა პარტიათა საარჩევნო კოალიციები, არამედ მათი თანამშრომლობა „ეროვნული თანხმობის პარლამენტისათვის“, პიროვნებათა პარლამენტისათვის, განსხვავებულთა ერთობის პარლამენტისათვის.

მიგვაჩნია, რომ პარტიებს მიღმა გაცილებით მეტია ქვეყნისთვის საჭირო პროფესიონალი პოლიტიკოსი, ვინც ხელისუფლებაში ყოფნის დროს შეინარჩუნა წესიერება და პატიოსნება, კორუფციის ეპოქაშიც კი გაუძლო ყოველგვარ ცდუნებას და, რაც მთავარია, ოპოზიციაში ყოფნის დროს არ გაბოროტდა და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, სწამს და სჯერა, რომ არ შეიძლება პოლიტიკის ბიზნესად ქცევა, ხელისუფლებაში ბიზნესინტერესებით ყოფნა.

ჩვენ, გვჭირდება თანამშრომლობა არა პოლიტიკური ფრაქციების შექმნისათვის, არამედ პოლიტიკური პარტიების შეკრება მრგვალ მაგიდასთან, **აღიარება იმისა,** რომ ქვეყნის დღევანდელი და ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა სწორედ პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების ბრალია; **აღიარება იმისა,** რომ ამ წლებმა ჩვენში სერიოზულად გაჩინა ზნეობის დეფიციტი და არაერთი ზნეობრივი პროფესიონალი პოლიტიკოსი გარიყა. **აღიარება**

იხ. 8 გვ.

(მეშვიდე გვერდიდან) **იმისა,** რომ პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია ქვეყნისთვის მომართული, ძლიერი პოლიტიკოსი, ვინემ პარტიებში... ჩვენი ამოცანაა, ვიფიქროთ ასეთი ადამიანების პარლამენტზე...

ჩვენ მივმართავთ პოლიტიკური პარტიებს ასეთი თანამშრომლობის თაობაზე.

ჩვენ ასეთი პოზიციით ვერთვებით საარჩევნო პროცესში. ჩვენი მთავარი დოკუმენტი იქნება ერთი მხრივ, ქვეყნის პოტენციალის ანალიზი, მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი და, რაც მთავარია, პროგრამა — ასეთ ვითარებაში მყოფ ქვეყანაში როგორ ავამოქმედოთ მისი პოტენციალი.

V. კონკრეტული წინადადებები მოქმედებისათვის

1. ყველგან იყვნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები. **ზვიად გამსახურდიას გარემოცვაშიც, ედუარდ შევარდნაძის პერიოდის პარლამენტებშიც, ასლან აბაშიძესთანაც, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც** დღევანდელ ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანაა, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების სახელისუფლებო არენაზე გამოსვლა.

2. ჩვენ ვსწავლობთ და ვაანალიზებთ ცნობილი მოღვაწეების — მეცნიერთა, ხელოვანთა, პედაგოგთა, ექიმთა, სპორტსმენთა მოსაზრებებს, ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. უკვე გვაქვს ძალიან სერიოზული ინფორმაცია, რომელსაც ეტაპობრივად წარმოვუდგენთ საზოგადოებას, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ მათი მოსაზრებები, თუ ვინ არიან ის პოლიტიკოსები, რომელთა გარეშე მათ ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს პარლამენტი.

3. ჩვენი პოზიცია პრინციპულია: იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარზე მეტი გასულია ქვეყნის გარეთ და ეს ის ადამიანები არიან, ვისაც დიდწილად უნდა ვუმადლოდეთ, რომ თუნდაც უარეს მდგომარეობაში არ ვართ — მიგვაჩნია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება საქართველოს პარლამენტში ჰყავდეთ თავისი წარმომადგენლები. დიდი მუშაობა გავწიეთ, **მოვიძიეთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ იმ ქვეყნების მოსახლეობასთანაც, ხელისუფლებასთანაც და დიასპორაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ეს პროცესი გრძელდება. მასში ჩართვა ყველას შეუძლია.**

4. კონგრესის მთავარი დოკუმენტები გავუგზავნეთ პოლიტიკურ პარტიებს, რადგან მიგვაჩნდა და დღესაც ამ აზრზე ვართ, ურთიერთკომპრომისებით შევძლებთ ეროვნული თანხმობის, ხალხის ნდობით აღჭურვილი პარლამენტის ფორმირებას. ეს დიდი ქართული გამარჯვება იქნებოდა. სრული უყურადღებობა ყველასგან, გარდა პოლიტიკური პარტია „თეთრებისა“. ეს მეტყველებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა მკვდარია.

იმედს არ ვკარგავთ. ამ დოკუმენტის გამოქვეყნებით კიდევ ერთხელ მივმართავთ მათ თანამშრომლობისათვის და აქვე ვაქვეყნებთ იმ წერილის ტექსტს, რომელიც თვენახევრის წინათ ერთხელ უკვე გავუგზავნეთ პოლიტიკურ პარტიებს.

5. ჩვენ გამოვაქვეყნეთ მიმართვა განსაკუთრებული პოზიციით, რომლის მიზანია არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარება. აქაც უყურადღებობა და იგნორირება. ჩვენ ამ წერილს კვლავ ვაქვეყნებთ, ხალხმა იცოდეს ჩვენი პოზიცია და თავად განსაჯოს, ვის ეშინია არჩევნების სამართლიანად ჩატარების

დასკვნის სახით

იმედი გვაქვს, რომ დიდგორობის დღეს გამოქვეყნებული ეს დოკუმენტები ხალხსაც და ხელისუფლებასაც ბევრ რამეზე დააფიქრებს. ჩვენც სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემს გამოქვეყნების შემდგომი პერიოდი. მოსაზრებებს ყოველ პარასკევს ვამცნობთ საზოგადოებას.

მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის პოზიცია ურყევია: ჩვენ ამ საკითხებს არ მოვეშვებით და არც იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ვართ სიმართლის საბოლოო ინსტანცია, მაგრამ თანამშრომლობა საჭიროა, დისკუსია აუცილებელია.

ფაქტი ერთია, რჩება შთაბეჭდილება, რომ ქვეყნის ინტელექტუალური, გეოგრაფიული, ეკონომიკური პოტენციალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მოქმედებაში მოყვანის კანონზომიერებას, ლოგიკას არ ექვემდებარება არც ხელისუფლების ქმედებები, არც პოლიტიკური ძალების, არც ამერიკის შეერთებული შტატების, არც რუსეთის , არც ევროკავშირის ქმედებები საქართველოში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ქმედებები კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებზეა გათვლილი და არა საქართველოზე და მის მოსახლეობაზე, არა ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებზე.

მილიარდობით დოლარის დახმარებები მივიღეთ გარედან, კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს აღებული სესხების მოცულობა - შესაბამისი შედეგი არ ჩანს.

მთელი მსოფლიოსათვის ინტელექტისა და მიწის ქვეყნად წოდებული საქართველო, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი საქართველო, მიდიოდეს მხოლოდ ტურიზმის გზით, როგორც ეს დღეს ხდება — დანაშაულია.

ფულის დარიგების პოლიტიკამ პროგრესი გააჩერა ქვეყანაში. ჩვენი ანალიზით, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ქვეყნის პოტენციალის მეათედიც კი ვერ მოიყვანა მოქმედებაში. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ან ცუდად, ან შიმშილის ზღვარზე ცხოვრობს. ქვეყანაში შექმნილია არაპროგნოზირებადი სიტუაცია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მოქმედების დროა.

ქვეყანას სჭირდება განვითარების ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი მეცნიერული პროგრამა.... ქვეყანას სჭირდება განვითარების ბიუჯეტი, 25 წელია, ყველა ხელისუფლების მიერ ხალხის სატყუარად შემოგდებული სოციალური ბიუჯეტის ნაცვლად.

დავიწყოთ პარლამენტით.

დღეს საქართველოს სჭირდება:

- **პიროვნებათა პარლამენტი;**
- **არა მოლაპარაკეთა, არა სოციალურ დემაგოგთა, არამედ კანონშემოქმედთა პარლამენტი;**
- **არა ურაპატრიოტთა და არა გლობალისტთა, არამედ ქართული ცნობიერების პლანეტარულად მოაზროვნე პოლიტიკოსთა პარლამენტი;**
- **არა გარედან მართვად პარტიათა და პოლიტიკოსთა, არამედ ქვეყნის ინტერესების, ქვეყნის მოსახლეობის მსახური პარლამენტი;**
- **არა ბელადების და ფულიან მაგნატთა პოლიტიკური გემოვნებით დაკომპლექტებული საარჩევნო სიები და პარლამენტი, არამედ ღონიერი აზროვნების პოლიტიკოსთა პარლამენტი (ღონიერი აზროვნების პოლიტიკოსები პარტიებს გარეთ უფრო არიან, ვიდრე პარტიებში).**

დღეს საქართველოს სჭირდება ისეთი ხელისუფლება და ოპოზიცია, ისეთი მედია და არასამთავრობო სექტორი, რომელიც ჭკუას კი არ ასწავლის ხალხს (ეს მისგან უნდა ისწავლონ), არამედ ემსახურება მას — ხალხს, ქვეყნის ჭეშმარიტ პატრონს!

ქართული, მხოლოდ ქართული გზა ! ქვეყნის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს — ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს!

ყალბი და არაქართულია ქვეყნის გარეთ მხსნელის ძებნა... გარეთ მხოლოდ მეგობრები უნდა ვეძებოთ და არა პატრონები. საქართველოს მსახური ცუდი ხელისუფლებაც კი ათასგზის სჯობს გარედან მართულ და გარედან ნაქებ-ნადიდებ ხელისუფალთ!

დავიხსნათ თავი გარედან 25-წლიანი მართვისაგან. ავირჩიოთ განათლებულ და რწმენით სავსე ადამიანთა ხელისუფლება.

ჩვენ დღეს ამ დიდ ქართულ პროცესს ვიწყებთ. ქართული არასდროს ნიშნავდა ჩაკეტილობას. ქართული ყოველთვის იყო ნაზიარები ზოგადკაცობრიულთან.

ჩვენ ვიწყებთ დიდ ქართულ პროცესს და მთავარია, არ დავივიწყოთ და მუდამ გვახსოვდეს, რომ დუმილი დღეს ქვეყნის ღალატის, საკუთარი ღირსების დაკარგვის ტოლფასია!

გენიალურად თქვა მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერმა, „განწყობის თეორიის“ ფუძემდებელმა დიმიტრი უზნაძემ: “... გლახები და მონები იმიტომ კი არ ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ!“

მხოლოდ ღირსეულ ადამიანებს შეუძლიათ დიდი მომავლის საქართველოს შექმნა!

ნუ ვტირით და ნუ ვწუწუნებთ. საქართველო სავსეა ასეთი ადამიანებით, საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ და ეს დაადასტურა ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა, საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის მზადების განვლილმა ეტაპმა. ამას ადასტურებს მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრები საქართველოს რეგიონებში — ქალაქებსა და რაიონებში.

სწორედ რომ ამ მოქმედების დაწყების დროა!

ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს სახელმწიფო ტელევიზია. ჩვენ არ ვიცით, რას ნიშნავს ოპოზიციური ტელევიზია. ჩვენ ვიცით მხოლოდ მართალი ტელევიზია!

„ქართული ერთობის დარბაზი“

ტელევიზია „ქართული ტვ“-ს გადაწყვეტილება

ჩვენი პოზიცია ჩვენს ემბლემაშია

ჩვენ ხელი მოვაწერეთ „მოქმედების მანიფესტს — ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“, რომელშიც გამოკვეთილად ითქვა დღევანდელობის ერთი მძიმე სიმართლე:

„საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს, ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები“, და ეს მიჩნეულია ქართული აზროვნების გასაჭირად.

„ქართული ტვ“ დააფუძნა ჯარისკაცის მამამ რეზო ჩხეიძემ და ორი წლის წინათ, ღვთისმშობლობას, სამების საკათედრო ტაძარში, საჩუქრად გადასცა სრულიად საქართველოს.

ტელევიზიის სათავეებთან დგანან საქვეყნო კაცები: მერაბ ბერძენიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რამაზ ყურაშვილი.

ჩვენ ვართ სააქციო საზოგადოება, ამჟამად ათასზე მეტი აქციონერით და მთავარი პრინციპით, რომ არ შეიძლება ერთი პიროვნება 4 პროცენტზე მეტ აქციას ფლობდეს. ჩვენი აქციონერები სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის და, ალბათ, სხვადასხვა პარტიების წევრები, მხარდამჭერები ან გულშემატკივრები არიან.

სწორედ ამიტომ, ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ რომელიმეს მხარდამჭერი ან მოწინააღმდეგე, მით უფრო, რომ ჩვენ ერთმნიშვნელოვნად დამანგრეველს ვუწოდებთ დღევანდელ საქართველოში პარტიების კვალიფიციურად და არაკვალიფიციურად დაყოფას.

ამიტომ ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას, ყველა საარჩევნო პოლიტიკურ სუბიექტს შევუქმნათ ერთნაირი პირობები — ყველას მივცეთ საშუალება, თავისი სათქმელი უთხრას ხალხს.

ჩვენთვის, ქართული ერთობა უპირველესი და უმთავრესია!

ტელევიზია „ქართულის“ გენერალური პროდიუსერი
მანანა ნოდია

სააქციო საზოგადოება „ქართულის“ დირექტორი
ალექსანდრე ოჩიგავა

სააქციო საზოგადოება „ქართულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
რომან რურუა

სად ვუყუროთ ტელევიზიას „ქართული TV“

ამ ეტაპზე გადაცემების ნახვა პირდაპირ ეთერში შესაძლებელია ფრანგულ თანამგზავრზე Eutelsat at 36.00: „silknet“-ზე, „Super-TV“-ზე, myvideo-ზე“ „ქართული ერთობის დარბაზისა“ და ტელეკომპანია ქართულის ვებ გვერდზე: qedi.qtv.com.de და qtv.com.ge.

პერსპექტივა

მიმდინარეობს მუშაობა საკაბელო არხებთან. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო პერიოდში ყველა გამავრცელებელი ვალდებულია, ჩართოს სატელიტზე განთავსებული ტელეკომპანიები. დარწმუნებული ვართ, გვექნება მათი მხარდაჭერა და შესაძლებელი გახდება ტელეკომპანია „ქართულის“ ხილვა მთელი საქართველოსა და შემდგომ, ფრანგული თანამგზავრის მეშვეობით, პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში.

გილოცავთ!

ეს უდავოდ დიდი ქართული მოვლენა შეესაძლებელი გახდა მსოფლიოში ყველაზე დიდი, საფრანგეთის თანამგზავრული კომპანიის მხარდაჭერით და სს „ქართულის“ აქციონერთა თანადგომით. ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდა, 3 მარტს, დედის დღეს.

რეზო ჩხეიძის მიერ შექმნილ დედასამშობლოსთვის შემართულ ტელევიზიას უკვე უყურებენ მსოფლიოს დიდ ნაწილში. გუშინვე myvideo-ს, silknet-ის, რამდენიმე ქალაქის საკაბელო ტელევიზიებს, „Super-TV“-ს მეშვეობით 100 000-ზე მეტი მომხმარებელი შემოუერთდა. ეს პროცესი გრძელდება.

ჩვენი რეკვიზიტები:

თბილისი 0179, ღამბაშიძის ქ. №4

ტელ. (032)2 443446; 599 03 21 66; 599 37 83 41

ელ.ფოსტა : kartuliertoba@gmail.com

ვებ.გვერდი: www.qedi.qtv.com.ge

ფეისბუქის გვერდი: საინიციტივო ჯგუფი „ეროვნული თანხმობის პარლამენტის“ ფორმირებისთვის

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მსოფლიო დონის კონფერენციისთვის ემზადება

დამოუკიდებელ საქართველოს ბევრი პრობლემა დაუგროვდა, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ მეცნიერება განაკულაკა, ჩამოართვა მას კვლევითი ინსტიტუტები, იმ მიზნით, რომ ფაქტიურად მათი ლიკვიდაცია მოეხდინათ, ქართული მეცნიერება მაინც სულდგმულობს, არსებობს და საერთაშორისო ასპარეზზეც აქტიურობს.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას მჭიდრო ურთიერთობა აქვს არა მარტო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მათ სამეცნიერო ცენტრთან, არამედ ეროვნულ აკადემიასთანაც. განახლდა ურთიერთობები მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო ცენტრებთან, რომლებმაც შეიძინა ახალი შინაარსი. აკადემიის სამეცნიერო საბჭო, სისტემატურად ატარებს წარმატებულ ფერმერულ მეურნეობებში გასვლით სესიებს, უწევს მათ საჭირო კონსულტაციებს.

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდთან (ხელ-ლი მ. ჩიტიშვილი). მათი დაფინანსებითა და ხელშეწყობით აკადემიაში ზედიზედ ტარდება საერთაშორისო სიმპოზიუმები და კონფერენციები, რომლებიც ეძღვნება მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემებს.

წელს ასეთი კონფერენცია ჩატარდება სექტემბერში, თემაზე: **„ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.“**

კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი პრეზიდენტის აკად. გ. ალექსიძისა და აკადემიის სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებლის აკად. ე. შაფაქიძის მეთაურობით.

კონფერენციის მუშაობაში ჯერჯერობით მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 16 ქვეყანამ, გამოსაცემად მზადაა 152 სამეცნიერო სტატია, დაგზავნილია კონფერენციის პროგრამები და მოსაწვევები ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში და სხვა.

კონფერენციის ფარგლებში, აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში მოეწყობა ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ქვეყნის მოწინავე სასოფლო-სამეურნეო წარმოებებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის შედეგები გაფორმდება შრომითი კრებულის სახით, რომელიც გამოვა ქართულ და უცხო ენებზე.

აკადემიის პრესსამსახური,
ჟურნალისტი
სალომე კიკნაველიძე

სტიქიის შედეგად დაზიანებული ბორჯომის პარკი ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბორჯომის ისტორიულ პარკს ეწვია და 4 აგვისტოს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გაწეულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის მინდია ჯანელიძის განმარტებით, ადგილზე, 24-საათიან რეჟიმში, კოორდინირებულად მუშაობდა ყველა შესაბამისი უწყება.

5 აგვისტოს, დილითვე პლატოს გზის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიმდებარე ტერიტორია გაწმენდილი იყო. შუადღიდან გაიხსნა ცენტრალური პარკის დასასვენებელი ზონა. ამჟამად, ბორჯომის პარკში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი სრულად აღმოფხვრილია.

ყველაზე დიდი დიაგნოსტიკური ცენტრი თბილისში

ძავთარაძის ქ.№ 23-ში, ყოფილი „ლეჩკომბინატის“ შენობაში, დედაქალაქის მასშტაბით ყველაზე დიდი დიაგნოსტიკური ცენტრი გაიხსნა. თანამედროვე ინფრასტრუქტურით მოწყობილი მრავალპროფილური დიაგნოსტიკური ცენტრი 9,000 კვ/მ ფართობზეა განლაგებული და მისი კლინიკური და ფუნქციური დაგეგმარება „JCI“-ის (საერთაშორისო ერთობლივი კომისია) რეკომენდაციებით განხორციელდა, რომელიც სამედიცინო სტანდარტის დამდგენი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაა.

დიაგნოსტიკური ცენტრი უახლესი თაობის ციფრული სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი. მძლავრადაა განვითარებული რადიოლოგიური და ენდოსკოპიური განყოფილებები.

დიაგნოსტიკური ცენტრი კლინიკური მიმართულებების ყველა დარგს დაფარავს როგორც ბავშვებისათვის, ისე მოზრდილებისთვის.

ახალი დიაგნოსტიკური ცენტრის რეაბილიტაცია „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ განახორციელა და მასში 30 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო. აღსანიშნავია, რომ დიაგნოსტიკური ცენტრი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამბულატორიული დაწესებულებაა, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის

დაზღვევით მოსარგებლე 30 000 ბენეფიციარს მოემსახურება. რთული სამედიცინო შემთხვევებისას ცენტრში შესაძლებელი იქნება პაციენტებისთვის კვლევებისა და მკურნალობის ინდივიდუალური მეთოდების განხილვა ევროპისა და ამერიკის წამყვან კლინიკებთან კონსულტაციით.

2017 წლის ზაფხულში, ამავე შენობაში ფუნქციონირებას უკვე ცენტრის ჰოსპიტალური ნაწილიც დაიწყებს, რომელიც უახლესი თაობის სამედიცინო აპარატურითა და კომპიუტერული საოპერაციო ბლოკებით იქნება აღჭურვილი. ქავთარაძის ყოფილი „ლეჩკომბინატის“ შენობის სრული რეაბილიტაცია-აღჭურვისთვის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ განხორციელებული ინვესტიცია 2017 წლის ბოლომდე 70 მილიონ ლარს გადააჭარბებს და სამედიცინო დაწესებულების მთლიანი ფართი 35 000 კვ/მ განისაზღვრება.

ექიმს შეუძლია ელექტრონული რეცეპტები გასცეს

ამ თემაზე დღეს ჯანდაცვის მინისტრმა ისაუბრა. დავით სერგეენკოს განცხადებით, ელექტრონული რეცეპტი არის ცენტრალიზებული სისტემა,რომელიც გამოყენებული იქნება ყველა ექიმის, პაციენტისა და საფთიაქო დაწესებულების მიერ.

„სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება გადავა მთლიანად ელექტრონულ ჯანდაცვაზე, მისი პირველი სასწრაფო ეტაპი ახლა დაიწყება, ეს არის ელექტრონული რეცეპტი. ტესტირება დავიწყეთ რამდენიმე დღის წინათ, ტექნიკური ხარვეზები გამოსწორებულია და დღეიდან ის ამოქმედდება. მისი უპირატესობა პირველ რიგში არის ის, რომ მოიხსნება ქაღალდის ტარების საჭიროება, რაც დიდი კომფორტია, რადგან პაციენტს ექიმთან ვიზიტისას შეეძლება მხოლოდ მისი სახელი- გვარით და პირადი ნომრით მისცეს საშუალება ექიმს, რომ გააქტიუროს მისი სრული დანიშნულება, ისტორია. რეცეპტი გამოიწერება ასევე ელექტრონულად და აფთიაქებს, რომლებიც ჩართულები იქნებიან ამ ქსელში, მაშინვე ექნებათ წვდომა, პაციენტი ეტყვის მის პირად ნომერს და აფთიაქი გასცემს დანიშნულების შესაბამისად მედიკამენტს“, — განაცხადა სერგეენკომ.

მოსავლის აღება აქტიურად მიმდინარეობს

შიდა ქართლის საზღვრისპირა სოფლებში თავთავიანი კულტურის მოსავლის აღება აქტიურ ფაზაში შედის. ადგილობრივი მოსახლეობისათვის მოსავლის აღების ოპერაციებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „მექანიზატორი“ ახორციელებს.

მოსავლის აღების პროცესის მიმდინარეობას ბრეძას თემში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ნასარიძე, შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი პაატა შეყელაძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ.

ბრეძას თემში 350 ჰა მიწის ფართობზე შპს „მექანიზატორმა“ მოსავლის აღება უკვე დაიწყო. ხორბალი, ქერი და შვრია ბრეძაში 400 ფერმერს აქვს დათესილი. მოსავლის აღების სამუშაოებს აზერბაიჯანიდან შემოსული კომბაინები ახორციელებენ, რომლებიც აგროვადების დაცვით მოსავლის შეუფერხებლად აღების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოიყვანა.

საზღვრისპირა სოფლებში დღეის მდგომარეობით მობილიზებულია 12 ერთეული შპს „მექანიზატორის“ კომბაინი, რომლებმაც უკვე აიღეს 615 ჰექტარი ნათესი ფართობი და მოემსახურნენ 300-ზე მეტ ბენეფიციარს. დარჩენილია 490 ჰექტარი ნათესი ფართობი, რომლის აღებაც უახლოეს მომავალში აგროოპერაციის ვადის სრული დაცვით დასრულდება.

ქვეყნის მასშტაბით მოსავლის აღება აქტიურად მიმდინარეობს, ჩართულია შპს“მექანიზატორის 87, ხოლო აზერბაიჯანიდან შემოყვანილი 30 ერთეული კომბაინი.

გორში დაცვის პოლიციის ახალი შენობა გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა გორში დაცვის პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა გახსნა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე დავით ვარდიაშვილი და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე გურამ ტომარაძე ესწრებოდნენ.

ორსართულიან, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, უახლესი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილ შენობაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირების ჯგუფები განთავსდნენ. ადმინისტრაციულ შენობაში 25 თანამშრომელი იმუშავებს.

„ბათუმის, ბაკურიანის, ურეკის, გუდაურის და თბილისის (საბურთალო) ახალი შენობების შემდეგ, დღეს უკვე დაცვის პოლიციის მეექვსე ახალი შენობა გორში გავხსენით, რათა გაუმჯობესდეს ჩვენი თანამშრომლების სამუშაო პირობები და, შესაბამისად, გაიზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხი“, — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიციელთათვის სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ახალი შენობების მშენებლობასა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას აქტიურად განაგრძობს.

◎ ქართველთა ოლიმპიური ტაბლო

ძიუდო: თამასა ვერცხლის ნიშნულით

Rio2016

რიოში ძიუდოისტთა ოლიმპიურ ტურნირზე 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს სპორტულ ღირსებას სახელოვანი ფალავანი ვალერი ლიპარტელიანი იცავდა. ქომაგები ზომაზე მეტადაც იყვნენ დარწმუნებული, რომ ბრაზილიურ ტატამს იგი უმედლოდ არ დატოვებდა და ასეც მოხდა – ლაშა შავდათუაშვილის თამასა მან ვერცხლის ნიშნულამდე ასწია და დიდადაც გაგვახარა, ოღონდ თავად იყო დაღონებული და დაჯილდოებისას კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ცრემლით სავსე თვალებით იდგა, ოღონდ ეს არ იყო მისთვის სიხარულის ცრემლი, რადგან ქართველ ვაჟკაცს მეტი ეწადა. ტურნირიც იმედიანად დაიწყო: ჯერ ტაჯიკი კომრონშოკ უსტოპირიონი, შემდეგ კი ნაურუელი ოვინი უერა შებოჭა. მეოთხედფინალშიც ხალისიანად გავიდა, რადგან ფორტუნამ ორი უხერხული მეტოქე (რუსი კირილ დენისოვი და ბერძენთა ქართველი ჯილა ილიას ილიადისი პირველივე წრეში დამარცხდნენ) ადრევე ჩამოაცილა. კერკეტი კაკალი გამოდგა მონღოლი ოტგონბაატარ ლხაგვასურენი, ფიზიკურად ძალიან ძლიერი და მოუხელთებელი ფალავანი, თუმცა, ლიპარტელიანმა მოახერხა და აზიელი ორჯერ გააფრთხილებინა მსაჯს, თავად კი ორთაბრძოლის მიწურულს ერთი გაფრთხილება მიიღო. „ჯვაროსანს“ ნახევარფინალში მეტოქედ კორეელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი დონჰან გვაკი ჰყავდა. მასთან შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხისთვის ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი და მიზანს ორი ლამაზად შესრულებული ფანდით მიაღწია – ორი ვაზარი აართვა კორეელს და ფინალში იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ მაშუ ბაკერს დაუპირისპირდა. ქართველ ფალავანს აქამდე იაპონელთან ორი პაექრობა ჰქონდა წაგებული. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი ამჯერადაც გადაულახავ ზღუდედ აღიმართა – ბაკერმა ერთ-ერთ ეპიზოდში იუკო დაიმსახურა, რაც ოლიმპიური ჩემპიონობისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ვიცე-ჩემპიონმა აცრემლებულმა დატოვა ტატამი.

ძალებში ქართველთაგან ესტერ სტამმა (70) იჭიდავა და ერთი შეხვედრაც მოიგო – პირველ წრეში მონღოლი ნარანჯარგალ ცენდ-აიუში ვაზარით დაჯაბნა, მაგრამ მეორე წრეში კანადელ კელიტა ზუპანჩიჩთან ორთაბრძოლა ერთი გაფრთხილებით დათმო და ოლიმპიურ თამაშებსაც დაემშვიდობა.

ლაშა დიდია.



ფარიკაობა

20-წლიანი შესვენების შემდეგ რიოში ოლიმპიურ საფარიკაო ბილიკზე ქართველთაგან ახალგაზრდებს შორის ევროპის სამგზის ჩემპიონმა, მოხმალავე სანდრო ბაზაძემ იასპარეზა. სტარტზე იგი 31 წლის მასპინძელ რენზო აგრესტას შეხვდა. მართალია, ბრაზილიელი გამოცდილი მოფარიკავეა, ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე, პანამერიკული თამაშებისა და ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი, მაგრამ 23 წლის სანდრო ბაზაძემ მას იოლად მოუგო – 15:3, მეორე წრეში კი კიმ იუნ-ჰ ვანგს (სამხრეთი კორეა) დაუპირისპირდა. 32 წლის კორეელი გუნდურში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატებში თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ აქვს მოგებული. ბაზაძისა და კიმის ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეხვედრა ერთი ჩხვლეტით მოიგო – 15:14.

ტყვიის სროლა

ოლიმპიური თამაშების დებიუტანტი, 19 წლის ცოტნე მაჭავარიანი სპორტული პისტოლეტიდან სროლაში ცდიდა ძალებს. მან 552 ქულა მოაგროვა და მე-15 ადგილზე გავიდა – ფინალში მოსახვედრად 4 ქულა დააკლდა. ამ სახეობაში ჩემპიონი ოლიმპიური რეკორდით (193,7) სამხრეთკორეელი ჯინი გახდა.

მშვილდოსნობა

ხათუნა ნარიმანიძის მარცხის შემდეგ ცეცხლის ხაზზე ჩვენი ორი მშვილდოსანი ქალი გავიდა. იულია ლობჟანიძე მექსიკელ ალეხანდრა ვალენსიას შეხვდა. ორი სეტის შემდეგ იგი 4:0 (28:25 და 28:27) დაწინაურდა, მაგრამ ბოლო სამი დათმო (26:27; 27:28, 27:29), 4:6 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ. პლეი-ოფში ქართველი მშვილდოსანი ინდოელთა მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ დეეპიკა კუმარისთან 4:6 დამარცხდა. პირველი სეტი ესებუამ 26:27 წააგო, მეორე კი ფრედ დამთავრდა – 29:29. ინდოელმა მესამე ხელშიც მიაღწია წარმატებას – 30:27. შემდეგ ესებუას ჯერიც დადგა – 29:27 და საერთო ანგარიში გახდა 3:5. მეხუთე სეტის მოგებით ქრისტინე წონასწორობას აღადგენდა, მაგრამ აზიელი ჩვენებურს ვალში არ დარჩა – 29:29 და მომდევნო წრეში კუმარი გავიდა.

ლექსო ცინცაძე

◎ სანთელი

ნოდარ მოდებაძე

მართლაც რომ ურთულესი საქმეა ფალავანთა სამკვიდროში საკუთარი ნიშის მონახვა. ჯანსაღი სხეულისა და ჯანსაღი სულის ნოდარ მოდებაძემ ეს მოახერხა.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა, მსოფლიოს თასის მფლობელმა, ევროპის ჩემპიონმა, საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა და ორგზის მეორე პრიზიორმა, საკავშირო ხალხთა VI სპარტაკიადის ვიცე-ჩემპიონმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ხალიჩიდან სამშობლოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გადაინაცვლა და როგორც დეპუტატი, საკუთარ გულისთქმას საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდანაც პირუთვნელად გვიზიარებდა.

თვისტომის მიერ უღვთოდ გამეტებული 66 წლის ვაჟკაცი გუშინ თელავში ძვირფასი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

ნათელი დაადგეს!

„სრ“ სპორტის რედაქცია

◎ კალათბურთი

თორნიკე შენგელია: „მთავარი კონკურენტი მონტენეგროს ნაკრებია“

საქართველოს **საკალათბურთო ნაკრები თბილისის მერიის თასზე სათამაშოდ ემზადება, რომელიც დღეს დაიწყება. გუშინ სპორტის სასახლეში ილიას ზუროსის შეგირდებმა წვრთნა გამართეს, რომელიც მედიის წარმომადგენლებისთვის ღია გახლდათ.**

ვარჯიშის დასრულების შემდეგ კომენტარი ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა თორნიკე შენგელიამ გააკეთა. მისი თქმით, საქართველოს ნაკრების მთავარი მიზანი ევროპის 2017 წლის ჩემპიონატზე გასვლაა.

„ეს ამხანაგური თამაშები ძალიან წაგვადგება, რადგან უკეთ შევთამაშდებით. შესარჩევ ციკლში, რაღა თქმა უნდა, ჩვენთან ერთად ფავორიტი მონტენეგროა, მაგრამ ძალიან კარგია ის, რომ ორ თამაშს ვთამაშობთ – შინ და გარეთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოვიპოვოთ“, – ამბობს შენგელია.

საქართველოს ნაკრები მერიის თასზე დღეს ჰოლანდიას უმასპინძლებს, ხვალ – უკრაინას, ხოლო ტურნირის დასკვნით შეხვედრაში კვირას რუსეთის ნაკრებს გაეჯიბრება. ყველა აღნიშნული შეხვედრა სპორტის სასახლეში 20 საათზე დაიწყება.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, იგი 31 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით გაიმართება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ალბანეთის, სლოვაკეთისა და მონტენეგროს ნაკრებები იქნებიან.

ვიტალი ჯაფარიძე.

◎ ფეხბურთი

ფიფამ სანაკრებო რეიტინგი განაახლა

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ (FIFA) ეროვნულ ნაკრებთა განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. იმის გათვალისწინებით, რომ განვლილ ერთ თვეში სანაკრებო დონეზე მხოლოდ რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაიმართა, რეიტინგის პირველ ოცეულში ცვლილებები არაა. უცვლელია საქართველოს ეროვნული ნაკრების პოზიციაც - „ჯვაროსნები“ 318 ქულით ისევ 118-ე ადგილზე იმყოფებიან. ერთი თვის წინანდელ პოზიციებს ინარჩუნებენ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეები უელსი (11), ირლანდია (31) და სერბეთი (47), ერთი პოზიციით დაქვეითდა ავსტრია და ამჟამად 22-ე ადგილზეა, ხოლო მოლდოვის ნაკრებმა 166-დან 165-ე ადგილზე აინაცვლა.

ფიფას რეიტინგი 11 აგვისტოს მონაცემებით:

1. არგენტინა – 1585, 2. ბელგია – 1401, 3. კოლუმბია – 1331, 4. გერმანია – 1319, 5. ჩილე – 1316, 6. პორტუგალია – 1266, 7. საფრანგეთი – 1189, 8. ესპანეთი – 1165, 9. ბრაზილია – 1156, 10. იტალია - 1155.

* * *

11. უელსი - 1137, 22 (-1). ავსტრია – 875, 31. ირლანდია – 800, 47. სერბეთი – 612, 118. საქართველო – 318, 165 ((1). მოლდოვა – 151.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ჟიზელ ბუნდჰენმა რიოს ოლიმპიადა დაამშვენა



დიდი ამბები, შეხლა-შემოხლა და აზრთა სხვადასხვაობა იყო გაჩაღებული იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ლამაზმანი იქნებოდა რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე ზაფხულის ოლიმპიადის მთავარი თილისმა და თამაშების გახსნის ღონისძიების დედოფალთ-დედოფალი.

ამ ტიტულსა და პატივზე არაერთი ცნობილი ბრაზილიელი ასული აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ღამის ტეხვის შემძლე ჩვენებურმა ადამიანებმა საკუთარი თვალით ვნახეთ, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორებმა არჩევანი დიდებულ ბრაზილიელ მოდელზე ჟიზელ ბუნდჰენზე შეაჩერეს და რთულია მათ ეს არჩევანი დაუწუნო.

ჟიზელ ბუნდჰენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი არჩევა უპირველეს ყოვლისა პრაქტიკული მიდგომით იყო განპირობებული, რადგან ამ უკანასკნელს ორგანიზატორებისგან ასეთ რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში ერთი ცენტიც კი არ მოუთხოვია და ანაზღაურების გარეშე დათანხმდა ოლიმპიადის მასპინძლობასა და თილისმობას. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება იქნებოდა?!...

როსტომ რაჭველიშვილი.

წყარო, რომლის შესახებ ყველამ უნდა ვიცოდეთ

ჯვრის მონასტრიდან დაბლა თუ ჩაგიხედავთ, ალბათ, შეამჩნევდით პატარა სავანის მსგავს ადგილს, სადაც შეფოთლილი ხეებია როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში. ეს ის ადგილია, სადაც წმ. ნინო მუხლმოდრეკილი ევედრებოდა უფალს ქართლის მოქცევას. სწორედ, ამ ადგილასაა სასწაულმოქმედი წყალი, წმინდა ნინომ რომ აღმოაჩინა და მას „ძუძუს წყარო“ ეწოდა. ამ ადგილზე იყო „აკაკის ხე“, რომელიც სასწაულებს ახდენდა, კურნავდა ნებისმიერი დაავადებით მისულ სნეულებს. სწორედ ეს თვისება აქვს ამ წყალსაც. მთავარია, მიხვიდე რწმენით, უფალი კი აუცილებლად შეისმენს შენს თხოვნას.

ეს წყალი რამდენიმე წლის წინათ ერთმა სათნო ადამიანმა აღმოაჩინა. გობრონ საბინინს დაწერილი აქვს არა მხოლოდ ხატი „საქართველოს დიდება“, არამედ წიგნიც „საქართველოს სამოთხე“, სადაც უწერია, რომ მცხეთის ჯვართან ახლოს, წმინდა ნინოს სამოლვაწეო, ძალიან წმინდა და უნიკალური ადგილია. იგი ამბობს, მოძებნეთ ეს ადგილი და კერია არ ჩაქროთო. ეს ადგილი, სწორედ, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აღმოაჩინა სულხან ბიძიამ:

ორი დღე ვეძებდი სულიერ ძმებთან ერთად. მერე მივაგენით დანგრეულს, მიტოვებულს... ორი-სამი ხატი ვიპოვეთ. ცეცხლის კვალი ეტყობოდა. პატარა სამლოცველოს ხის კარი ჰქონდა, ისიც დამწვარი. დანაგვიანებულიც იყო აქაურობა... გულს შემომეყარა და იმის შემდეგ აღარ წავსულვარ. როცა პატრონი ტოვებს ამ ადგილს, წყალიც ქრება. მიუხედავად იმისა, რომ აქაურობის დალაგება დავიწყე, წყალი არ ჩანდა. მერე ორმო შევნიშნე, სადაც დამტვრეული კრამიტები ეყარა. რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, კრამიტზე წყლის წვეთი დავინახე. გავასუფთავე, შევხედე საიდან მოდიოდა წყალი. შემდეგ, უკვე ამ ორმოში წყალი დაგროვდა. მომლოცველების რიცხვმა რომ იმატა, სხვა რეზერვუარებიც გავაკეთე. არ ვიცი, რით დავიმსახურე უფლისგან ამხელა მადლი, რომ ამ სიბერეში აქ მომიყვანა. თურმე, უფალს აქ კაცი სჭირდებოდა...

— როგორც ვიცი, ბევრი სასწაულის მომსწრე ხართ...

— აქ ისეთი ხალხი მოდის, ექიმები იმედს რომ ვეღარ აძლევენ. მოდიან უშვილოები, რომლებსაც წლებია, შვილი არ ჰყავთ და შვილები უჩნდებათ. ყველა ბავშვს ნინოს შვილობილს ვეძახი. უკვე 200-ზე მეტი ბავშვია დაბადებული, რაც ვიცი და ბევრი არც ვიცი. ამას წინათ, ციმბირიდან ჩამოვიდა პეტროსიანი გარიკა, შვილი არ ჰყავდათ და მეორე წელსვე შეეძინათ. 27 აგვისტოს იყვნენ ჩამოსულები და რადგან 28-ში მარიამობაა, მარიამი დაარქვეს. ისინი გრიგორიანელები იყვნენ, მაგრამ დედა ღვთისმშობლისთვის რა აზრი აქვს, ის ყველა აქ მოსულ მორწმუნეს ეხმარება. მერე კიდევ იყო გარიკა ჩამოსული მადლობის სათქმელად. ჩამოდიან რუსეთიდან, უკრაინიდან, მოლდოვიდან. ერთი წყვილი ქალაქ რიგიდან ჩამოფრინდა. მამაკაცი უსინათლო იყო და ტაქსში დარჩა, ქალიც შეშინდა ამ გზაზე ჩამოსვლისას და უკან გაბრუნდა. მერე ტაქსის მძღოლი ჩამოვიდა, ასეთი ამბავია და იქნებ მე მითხრათ როგორ მოვიქცეო. გავატანე წყალი. წლისთავზე გოგონა შეეძინათ. მერე წერილიც მოსწერეს ტაქსის მძღოლს, ჩამოსვლა ვეღარ მოახერხეს. ტაქსის მძღოლმა მე ამომიტანა ეს მადლობის წერილი.

— ბევრმა არც იცის ამ ადგილის შესახებ...

— ბერი გაბრიელი აქ ლოცულობდა ხოლმე... ჯერ ეს ყველაფერი დაფარულია ხალხისთვის. ალბათ, ესეც უფლის ნებაა. მოვა დრო, როცა გაცხადდება ამ ადგილის შესახებ...



— როგორც ვიცი, სნეულებისგან ბევრი მორწმუნე განკურნებულა...

— სიმსივნისგანაც განკურნებულან, დიაბეტიანები, 600-მდე რომ უწევდათ შაქარი, აქ მოსვლის შემდეგ ექიმთან რომ მისულან, სისხლში შაქარი აღარ აღმოაჩნდათ.

სულხან ბიძიასთან რამდენიმე საათი დავყავით. დრო უცებ გაფრინდა. მან წმ. ნინოს მთელი ცხოვრება მოგვიყვა. ბევრი რამ ვიცოდით, ბევრი რამ ვისწავლეთ. იგი ყოველთვის იქ არის. მომლოცველები რომ მივლენ, ხომ სჭირდებათ მასპინძელი. მან გვაჩვენა რვეული, სადაც აღწერა აქვს გაკეთებული თუ რამდენ უშვილოს შეეძინა შვილი. ბავშვების სახელები ზეპირად იცის და მათ ნინოს შვილობილებს ეძახის. ასევე, გული სწყდება ზოგიერთ წყვილზე, რომლებსაც შეეძინათ შვილები, მაგრამ მის რვეულში ვერ მოხვდა მათი სახელები, რადგან იქ აღარ მისულან.

პატარა ტაძრის პატარა ეზო „სიმშვიდის სავანეა“... რბილი ნიავი ქრის... ჩიტები ჭიკჭიკებენ... ფისო მზეზე კოტრიალობს, ძაღლიც დასეირნობს აქეთ-იქით. სხვათა შორის, ეს ძაღლი მომლოცველებს ბილიკზე გზას უკვალავს ხოლმე. თუ ვინმეს სნეულებას გაიგებთ, მიასწავლეთ ეს ადგილი. სულხან ბიძიას კი ჰყავს ერთი ტაქსისტი მეგობარი, რომელსაც საავადმყოფოსკენ მიმავალი მგზავრი თუ ჩაუჯდა, ამ ადგილს ასწავლის... ჩვენც ვასწავლოთ ერთმანეთს, რათა მეტი სნეული განიკურნოს, მეტი პატარა გაჩნდეს და კიდევ უფრო ბევრი სასწაულის მომსწრენი გავხდეთ.

ნინი შიშმანიძე

სანთელი

მერაბ, დოდო ანთელავები ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ლალი ლომიძეს და არჩილ მოდებაძეს მეუღლისა და მამის

ნოდარ მოდებაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკად.კ.ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი და უწყვეტი პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ფთიზიატრთა და პულმონოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფთიზიატრიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სახელმწიფო და მედიცინაში ეროვნული პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, გამოჩენილი ექიმი და მეცნიერი ქალბატონი

ლამარა ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ქალბატონი ლამარა იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი, რომელთა შესწავლის საკითხებში გარკვეული ადგილი ეკავა „ორსულობა და ტუბერკულოზი“, „გენიტალიების ტუბერკულოზი“. ამ გამოკვლევებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში ორსულთა სწორი სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში.

კლიმენტი ზანთარაია



გარდაიცვალა შრომისა და ომის ვეტერანი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, აფხაზეთიდან დევნილი კლიმენტი ზანთარაია.

კლიმენტი ზანთარაია დაიბადა 1926 წლის 29 აპრილს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში, სადაც ოტობაიას რვაწლედის დამთავრებისთანავე, 1942 წლიდან მუშაობას იწყებს ოჩამჩირის რკინიგზის გასამხედროებულ დაცვაში, საიდანაც 1943 წლიდან მოხალისედ მიდის საბრძოლველად და შემდგომ მრავალი ორდენ-მედლით დაჯილდოებული სამხედრო სამსახურშია 1951 წლის ბოლომდე. 1958 წლიდან ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო დევნილობის შემდგომ 1992 წლიდან მუშაობდა „თბილსრესში“.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია მივუსამძიმროთ ბატონი კლიმენტის შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს ეს მძიმე დანაკლისი.

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი კეთილი სული.

პანაშვიდი 12, 13 VIII, დაკრძალვა 14 VIII, 13 სთ. მისამართი: ქ. გარდაბანი, ლესელიძის ქუჩა 14.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია „თბილსრესის“ პროფორგანიზაცია, საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ბ-ნ *ვიქტორ ვატუტას* (მსესხებელი)
მოგესალმებით ბ-ნო *ვიქტორ,*

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტსა“ და თქვენს შორის 2012 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული, ნომერი: **101201039,** საკრედიტო ხელშეკრულების, 2012 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული ნომერი: **№ 121076396,** იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **101201039**-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2016 წლის 6 იანვრიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2016 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით მოვითხოვთ არსებული დავალიანების უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ხუთი სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი
მელორი ასათიანი

ტელ: 2 15 15 15

დედოფლისწყაროში ნაციონალური მოძრაობის ოფისი დააზიანეს

ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს რაიონულ ოფისზე გუშინ გვიან ღამით თავდასხმა მოხდა.

იმ სახლის მეპატრონე, სადაც ოფისია განთავსებული, აცხადებს, რომ მისი ყურადღება ხმაურმა მიიქცია, რის შემდეგაც ოფისის სიახლოვეს შენიშნა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც სავარაუდოდ, ოფისის კედელზე გაკრული საარჩევნო პლაკატი დააზიანა და ფანჯარა ჩაამსხვრია.

ნაციონალური მოძრაობის დედოფლისწყაროს რაიონულ ოფისის წარმომადგენელი ზურაბ ყოჩიაშვილი მომხდარში ყოფილი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის ნათესავს, ზურაბ გონაშვილს ადანაშაულებს.

„გამოვიძახეთ პოლიცია. როგორც ყოველთვის, სადღაც 40 წუთის დაგვიანებით მოვიდა. შარშანაც ანალოგიური იყო; ოფისი დაგვიცხრილეს. როგორც კი, ღარიბაშვილის დეიდაშვილი დათვრება, უკვე ვიცით, რომ რაღაც უნდა მოჰყვეს. იდგა გუშინ ზურაბ გონაშვილი, იგინებოდა ჩვენი მისამართით და შედეგმაც არ დააყოვნა“, — ამბობს ბინის პატრონი ზურაბ ყოჩიაშვილი.

მემკვიდრეობითი ნიშნები

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შესაძლებელია გულით უეცარი სიკვდილის წინასწარმეტყველება.

ეს უბედურება ხშირად 30-40 წლის ასაკის ხალხს მოსდის, მისი მსხვერპლი ჯანმრთელი ადამიანები ხდებიან. მკვლევარებმა გულით უეცარი სიკვდილის 500 შემთხვევა განიხილეს, რომელთა უმეტესობა კორონარულ უკმარისობას, მემკვიდრეობით კარდიომიოპათიას, მიოკარდიისა და აორტის ანევრიზმას უკავშირდება.

პაციენტთა მესამედს გენომში ამ დაავადებებთან დაკავშირებული მუტაციები აღმოაჩნდა, რომელთა უმეტესობა მემკვიდრეობითი იყო. მაშასადამე, მათი სკრინინგით აღმოჩენა სავსებით შესაძლებელია.

ცხიმიან საკვებს რომ დააყოლოთ...

შავ ღვინოს შეუძლია ცხიმიანი საჭმლის მიერ მიყენებული ზიანის კომპენსირება, აცხადებენ ამერიკის ჯორთაუნის უნივერსიტეტის მკვლევარები.

ამას განსაკუთრებული შენაერთი — რესვერატროლი აკეთებს, რომელსაც სუფრის შავი ღვინო შეიცავს. შავი ღვინის გარდა რესვერატროლს შეიცავს შავი მოცხარი, ჟოლო, ყურძნის კანი და თუთა.

ვნებათა „დულილი“

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გარემოს ტემპერატურის მატებასთან ერთად, ადამიანებში ძალადობისა და აგრესიის დონე მატულობს.

ოჰაიოელი მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ დიდი ვნებათაღელვა არა უბრალოდ ცხელ ქვეყნებშია, არამედ იქ, სადაც მთელი წლის მანძილზე სულ ზაფხულია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **კაცის აგრესიული ყოფაქცევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ მაღალი ტემპერატურის მუდმივობას. ფსიქოლოგები განმარტავენ, რომ სეზონებს შორის განსხვავებათა უქონლობა ყოფაქცევის გარკვეულ სტილს აყალიბებს** — ადამიანები უფრო ყოველდღიური პრობლემებით არიან დაკავებულნი და სამომავლო გეგმებს ნაკლებად აწყობენ. ამას კი ემოციურ სფეროში თვითკონტროლის დონის დაქვეითება მოყვება.

სექსუალური სიმხნევე — სიბერემდე!

დასამალი არ არის, რომ 40 წლის ასაკის შემდეგ, ბევრი მამაკაცი არტერიული წნევის ნახტომისებრ ცვლას, მალე დაღლას უჩივის, სექსუალური შესაძლებლობებიც საგრძნობლად იკლებს...

ყველა ამ გასაჭირის მიზეზია მამაკაცის ცხოვრებაში მთავარი ჰორმონის — ტესტოსტერონის კლება. 35 წლის ასაკიდან მოყოლებული, მამაკაცები, საშუალოდ, 2-3 პროცენტ ტესტოსტერონს კარგავენ, 50 წლისთვის კი ამ კლების შედეგები აშკარად შესამჩნევი ხდება — ესენია **ლიბიდოს (ანუ სქესობრივი ლტოლვის) ფიზიკურ და სექსუალურ შესაძლებლობათა კლება.**

მამაკაცებში კიდევ ერთი გასაჭირი იჩენს თავს, რომელიც ასაკის მატებასთან პროგრესირებს — **ესაა წინამდებარე ჯირკვლის ადენომა (კეთილთვისებიანი სიმსივნე).**

ტესტოსტერონის დონის კლებასთან ბრძოლაში ყურადღება უნდა მიაქციოთ კვების რაციონს. ორგანიზმში ტესტოსტერონის დონის ასაწევად უნდა მოიხმაროთ ცინკით მდიდარი საკვები **(ზღვის პროდუქტები, არაქისი, გოგრის თესლი, კუნჟუტი, პურის მარცვლის ჩანასახები),** რომლებიც ხელს უწყობენ პოტენციის მატებას.

გარდა ამისა, მეტად სასარგებლოა პომიდორი, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავს ფერმენტ ლიკოპინს, რომელიც ხელს უშლის პროსტატისა და წინამდებარე ჯირკვლის კიბოს წარმოშობას. სხვათა შორის, ლიკოპინს დიდი ოდენობით ასევე შეიცავს **საზამთრო, გრეიფრუტი, ტკბილი წითელი წიწაკა.** აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ეს ხილი და ბაღჩეული დიდადაა პოპულარული, წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნე ნაკლებადაა გავრცელებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ანეკდოტები

ცნობილია, რომ დიდი სისულელეა ბნელ ოთახში შავი კატის ძებნა, მით უმეტეს მაშინ, როცა ის იქ არ არის. მაგრამ, გვერწმუნეთ, რომ სრული იდიოტიზმია ბნელ ოთახში შავი კობრას ძებნა, მით უმეტეს მაშინ, როცა დანამდვილებით იცით, რომ ის იქ არის!

* * *

— **იცი,** გოგო, ნუკის ისეთი საყვარელი საქმრო ჰყავს, გაგიჟდები! — ჭორაობენ საპატარძლოს დაქალები. — როცა ნუკი მას ეუბნება, რომ ქორწილის შემდეგ მთელი ცხოვრება ერთად იქნებიან, ის ტირილს იწყებს, ისეთი გულჩვილია!..

* * *

ოჯახში ტელეფონი რეკავს, ყურმილთან პატარა ბიჭუნა მიდის:

— გისმენთ!

— სახლშია, გიო, მამიკო?

— არა, თამაზი ბიძია, წასულია.

— სადაა წასული, შვილო, დასვენებლად?

— რომელ დასვენებაზეა ლაპარაკი, თამაზი ბიძია, მამა დედასთან ერთადაა წასული!

* * *

ნიუ-იორკის ბრაიტონ-ბიჩის უბანში ორი ძველი ოდესელი საუბრობს:

— ნახეთ, ბატონო აბრამ, ჩვენი ვოლოვიჩი სოციალურ შემწეობას სულ სამი თვეა, რაც იღებს და უკვე შეძლო ბინის, აგარაკისა და იახტის ყიდვა!

— რას ამბობთ, პატივცემულო მოშე! ნუთუ ასეთი შემწეობებიც არსებობს?

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ! უბრალოდ ასეთი ვოლოვიჩები არსად არ არსებობს!

* * *

...**ახლა** კი, ჩემო კარგო, მოდი მოვაცილოთ სისხლი სიცრუის დეტექტორს და კვლავ მოვიყვანოთ სამუშაო მდგომარეობაში!

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

◎ ფოტოფაქტი

ბუნების პირველ ძეგლებად გერმანიაში ქალაქ ივენაკეს ათასწლოვანი მუხები გამოაცხადეს. ამ უძველესი ხეების სიმაღლე 35 მეტრს აღემატება, გარშემოწერილობა კი 11 მეტრს აღწევს.



„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.341; ევრო - 2.614;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.055;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.792;
აზერბაიჯანული მანათი - 1.471;
1000 სომხური დრამი - 4.92

ამინდი 12 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +38
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +34
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +19,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +15,	დღე +35
თბილისი:	ღამე +23,	დღე +37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE